პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 48 (20694) — კვირა, 25 თებერვალი, 1990 წელი. — ფასი 5 კაპ.

მკითხველს ვთავაზობთ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე მოიწონეს და რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განსახილველად წარადგენენ „საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ“ კანონის პროექტს. ამ და სხვა დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე მოგვითხრობს ინფორმაცია მთავრობის სახლიდან „მოწოდება, სურვილი და რეალური სუვერენიტეტის გზა“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება ახალ ფაზაში შედის — უახლოეს ხანში დაიწყება დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრები ამომრჩევლებთან, მათი წინასაარჩევნო პროგრამების განხილვა. არჩევნების ჩატარებას კანონის ფარგლებში ეძღვნება რესპუბლიკის პროკურორის ვ. რაზმაძის წერილი.

2 გვერდი

ვაქვეყნებთ გრიგოლ ყვანიას [illegible] ქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან“.

3 გვერდი

საკავშირო პრესის ფურცლებზე კვლავაც არ წყდება ჩვენი რესპუბლიკისადმი, ქართველი ხალხისადმი ცილისმწამებლური გამოხდომები. ამის დამადასტურებელია: გუშინდელ „ტაბულა“ გამოქვეყნებული ს. ბარუზდინის სტატია, რომელსაც რეპლიკით ვუპასუხებთ.

სტიქიით დაზარალებული აჭარლები მთელმა საქართველომ შეიკედლა. მათ ახალმოსახლეობა ხაშმშიც იზეიმს. ამაზე მოგვითხრობს ნ. ნარილი „იხაროს მათმა ჯილაგმა“.

4 გვერდი

გასული წლის ნოემბერში საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ დაადგინა:

მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 20 ივნისის დადგენილებით შექმნილი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის დასკვნა.

დაისვას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის წინაშე საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასების საკითხი.

ამავე დროს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ნოემბრის სესიაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის მიერ განხორციელებული აქცია იყო ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, რასაც შემდეგ ფაქტობრივად ანექსია მოჰყვა.

სტრიქონები საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციიდან

რეპლიკის ფხიზელი შეფასებიდან — დიდი მიზნისაკენ

ახლა ღირებულებათა გადაფასების დრო, გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის ეპოქაა.

ფარდა ეხდება იდუმალებას და მზის ხინათლეზე სულ სხვაგვარად აღიქმება სოციალურ-პოლიტიკური და ზნეობრივი მოვლენები, რომლებსაც შორეულ თუ ახლო წარსულში სულ სხვა სახელი ჰქონდათ. უფრო სწორად, ადრე ბევრ რეალობას სიყალბისა და უმეცრების იარლიყი ისე მოხერხებულად ჰქონდა მოშველიებული, რომ ცოდვები და ცდომილება დიდ ხანს შენიღბული ჩანდა.

დიახ, იყო ასე და არც თუ ისე შორეულ წარსულში, მაგრამ, მადლობა ღმერთს, დაჩქარა შემობრუნებისა და განკითხვის ჟამმა, საზოგადოების შინაგან მოთხოვნილებად იქცა ისტორიული სიმართლის აღდგენა, სამართლიანობისათვის ბრძოლა, ეროვნულ თვითმყოფობასთან დაკავშირებული სამოქმედო პროგრამის შემუშავება.

ფართო გაგებით თუ ვილაპარაკებთ, და ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო განცხადებაშიც ხაზგასმით აღინიშნა, ახლა თამამად სვამენ საკითხებს პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრების, სსრ კავშირის კონსტიტუციიდან მეექვსე მუხლის ამოღებისა და ბევრი სხვა ისეთი საკითხის შესახებ, რომლებზეც ადრე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

ბუნებრივია, ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის მიერ წამოვრილი აქტუალური ეროვნული და სოციალური პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სამომავლო მიზნები.

სწორედ მათ შესახებ მოგვითხრობენ ქვემოთ მოტანილი სტრიქონები „საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციიდან“.

● **„დემოკრატიზაციამ** და საჯაროობამ ახალი, საკუთარი ბუნებრივი ბიძგი მისცა ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას“.

● **„ქართველმა** ერმა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე კოლოსალური ენერგია, ნიჭი და ძალღონე შეალია თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის თავგანწირულ ბრძოლას“.

● **„საქართველოს** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სუვერენულობის ერთ-ერთი უმთავრესი გამოხატულებაა მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა. საქართველოს განუყოფელი ნაწილია მის ტერიტორიაზე შექმნილი ავტონომიური ფორმირებები — აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.

● **„ეროვნული** განვითარების კონცეფცია, რომელიც იცავს მემკვიდრეობითობის პრინციპს და მტკიცედ ემყარება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ჩვენი ხალხის ისტორიულ გამოცდილებას, მოწოდებულია შეავსოს ეროვნულ ისტორიოგრაფიაში არსებული „თეთრი ლაქები“, მიუკერძოებლად აღადგინოს სრული ისტორიული სიმართლე, ღირსეული პატივი მიაგოს ხალხის ისტორიულ ხსოვნას. მაგალითად, ყოველწლიურად ფართოდ უნდა აღინიშნებოდეს 1918 წლის 26 მაისი, როგორც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღი, მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე. ისევე როგორც ობიექტურად შეფასდა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევა და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გარემოებები, რაც სამართლიანად აწუხებდა ფართო საზოგადოებრიობას, ასევე პრინციპული შეფასება უნდა მიეცეს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროებში და ამავე პერიოდში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას“.

● **„სპეციალისტები,** საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით, ისტორიზმისა და მეცნიერული ობიექტურობის პრინციპებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ეროვნული სიმბოლიკის საკითხების განხილვა და გადაწყვეტა“.

● **„კონცეფციის** უმთავრესი მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, შესაბამისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების მომწიფების კვალობაზე სამართლებრივი გზით რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მოპოვება, რაც უნდა გამოიხატოს საბჭოთა სუვერენული რესპუბლიკების კავშირში რეალური ფედერალიზმიდან სახელმწიფოებრიობის უფრო მაღალ, სრულყოფილ ფორმებზე ეტაპობრივ გადასვლაში“.

● **„რესპუბლიკის** ტერიტორიაზე არსებული მთელი ეროვნული სიმდიდრე — მიწა, წიაღისეული, შიგა და ტერიტორიული წყლები, ზღვის შელფი, ტყე, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საწარმოები, საბინაო ფონდი და სხვა, საკუთრების როგორი ფორმებითაც უნდა იყვნენ ისინი წარმოდგენილი, მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის საკუთრებაა და მხოლოდ ისაა მათი განმკარგულებელი“.

● **„თვისებრივად** გაუმჯობესდება კონსტიტუციურ-საკანონმდებლო საქმიანობა. რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა ყოველმხრივი გათვალისწინებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებით უკვე განისაზღვრა სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს სსრ გასვლის სამართლებრივი პირობები, აგრეთვე სსრ კავშირის კანონების მოქმედების წესი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გაგრძელდება მუშაობა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, როგორიცაა მიგრაციული პროცესების რეგულირება, წვევამდელთა მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მათი სურვილის გათვალისწინებით რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოხდა, ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნა, მიწათსარგებლობის კანონმდებლობის კარდინალური სრულყოფა და სხვ“.

● **„კონცეფციის** ფარგლებში გადაწყდება საქართველოს სსრ მოქალაქეობის სტატუსის განსაზღვრისა და რეალური განხორციელების საკითხი, რაც სრულად გაითვალისწინებს აგრეთვე რესპუბლიკაში ტრადიციულად მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენელთა ინტერესებს“.

● **„...გადაიდგმება** პრაქტიკული ნაბიჯები საქართველოსთან ისტორიულად მჭიდრო კავშირის მქონე საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს სსრ წარმომადგენლობების შექმნისათვის, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის, სათანადო პირობების შექმნის კვალობაზე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად რესპუბლიკის მიღებისათვის“.

● **„ეროვნული** დემოგრაფიული პოლიტიკის კურსის თანამიმდევრული რეალიზაციისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ შესაბამისი ეკონომიკური ადმინისტრაციულ-იურიდიული და სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებები“.

● **„მომავალ** საქართველოს, ჩვენს შემდგომ თაობებს უნდა შევუნარჩუნოთ უნიკალური ფლორა და ფაუნა, შავი ზღვის ლაჟვარდოვანი სანაპირო, მარჩენალი მიწა, მაცოცხლებელი წყალი და ჰაერი. ამ მიზნით შემუშავდება და განხორციელდება საქართველოს სსრ მიწის ფონდის, აგრეთვე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამა“.

● **„კონცეფციის** ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარება ამ დარგების მართვის სრული ავტონომიზაციის საფუძველზე“.

● **„განსაკუთრებული** ზრუნვის საგანი იქნება ქართული ენა — რესპუბლიკის სახელმწიფო ენა“.

● **„ეროვნული** თანხმობისა და ეროვნული სამართლიანობის მტკიცე გარანტიაა რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის მიერ ქართველი ხალხის თვითგამორკვევის უფლების, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის, მისი ინტერესების, ენის, ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა. ამავე დროს მკვიდრი მოსახლეობა უნდა ცნობდეს და პატივისცემით ეკიდებოდეს საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანთა ინტერესებს, მათს ენას, კულტურასა და ტრადიციებს“.

● **„გაფართოვდება** თურქეთში, ირანში, საფრანგეთში, ისრაელსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებთან და მათ შთამომავლებთან კავშირურთიერთობა. სათანადო პატივი მიეგებათ და ეროვნული კულტურის ისტორიაში ღირსეულ ადგილს დაიკავებენ ის ადამიანები, რომლებიც უანგაროდ ემსახურებოდნენ სამშობლოს და ამჟამად სხვადასხვა მიზეზით მივიწყებულნი არიან“.

● **„განსაკუთრებით** აუცილებელია გამკაცრდეს და დაკონკრეტდეს იმათი პასუხისმგებლობა, ვინც აღვივებს ეროვნებათშორის შუღლს, ნაციონალისტურ და სეპარატისტულ მიდრეკილებებს, აქეზებს ერთი ერის წარმომადგენლებს მეორეზე, აწყობს პროვოკაციებს, სისხლიან აქციებს შერაცხყოფს ადამიანთა ეროვნულ ღირსებას, მათ ენას, კულტურას, ვისაც პირადი ამბიციები, ყოფითი პრობლემები დანაშაულებრივად ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში გადაიქცეს“.

● **„რესპუბლიკის** პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მის მიერ სრული სუვერენიტეტის მიღწევის კვალობაზე ობიექტურად სულ უფრო აუცილებელი ხდება საქართველოს კომუნისტური პარტიის დამოუკიდებლობის გაფართოება, რისკენაც პირველი ნაბიჯები ახლავე უნდა გადაიდგას. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ეროვნული, რეგიონური თავისებურებების გათვალისწინებით საქართველოს კომპარტიის სტატუსის შემუშავება, ღონისძიებათა იმ სისტემის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის თავისთავადობას, მისი თვითმმართველობის არსებით გაფართოებას“.

● **„... გაგებით** უნდა მოვეკიდოთ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, სხვადასხვა მიმართულების საზოგადოებრივ-ეროვნულ მოძრაობებს. ...ოპონენტთან ურთიერთობის უმთავრესი ფორმა დაინტერესებული, კეთილგანწყობილი, კონსტრუქციული, პატიოსანი დიალოგი უნდა იყოს“.

● **„პარტიას** ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი სიწმინდისათვის ქმედითი ზრუნვა, შეუძლებელი იქნება წინსვლაზე ლაპარაკი, ვიდრე ბოლო არ მოეღება პროტექციონიზმს, ძმაბიჭობას, მუქთახორობას, მექრთამეობას, კომბინატორობას, სახალხო დოვლათის დატაცებას, ბიუროკრატიზმს, მლიქვნელობას, სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებს, განსაკუთრებით სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელ მუშაკთა მხრიდან“.

ასეთია წარსულის შეფასება და მომავლის ჭვრეტა. ახლა მთავარია ხორცი შევასხათ ჩანაფიქრს, პრაქტიკულად გადავწყვიტოთ ეროვნული თვითმყოფობისა და დამოუკიდებლობის პრობლემები.



სამეფოო ძველთა ძველო,
დღეს სნეულო, გულის მწველო,
დაჭკნა შენი ძველი ქება,
ვით ზაფხულში მზისგან მდელო,
მაგრამ თუ დრო შეიცვალა
გაცოცხლდები საქართველო!..

დავივიწყოთ ის „ნანინა“
რამაც დღემდი დაგვაძინა!
სხვა კილოზე დავამღეროთ,
თუ რომ ბედმა გაგვაცინა!
ბერო ქართლო, გულს ნუ იტეხ!
კმარა ცრემლი, რაც გედინა!..

ამდენი ხნის მნუხარება,
ნახავ, მალე გაგეყრება!..
გაიღვიძე, დროს ნუ ჰკარგავ,
თუ რომ გინდა ნეტარება!
თვით სიცოცხლე საფხიზლეა,
გაიღვიძე, გვეჩქარება.

ნუთუ ჯერ ვერ შეგინიშნავს,
ის ვარსკვლავი როგორ ბრწყინავს?
შენი არის!.. ბედს ეეკადის!
მიეგებე, ნუღა გძინავს!..
მოემზადე, ახალი დრო
შესამკობლად გვირგვინს გიწნავს!

დიდებაო ძველის ძველო!
დღეს წყეულო, საეჭველო,
გულს ნუ იტეხ, წამოდექი
ნეტარების მომლოდნელო!
მოგვასწარ, რომ ვიძახოდეთ:
„ვაშა! ვაშა! საქართველო!“

ა. ა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე, რომელიც 22 თებერვალს გაიმართა, განიხილეს სკკპ ახალი წესდების პროექტი, რომელიც მომზადებულია პარტიული ორგანიზაციებისაგან, კომუნისტებისა და უპარტიოებისაგან შემოსულ წინადადებათა საფუძველზე და პარტიის ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის დებულებათა შესაბამისად.

ფართო და დაწვრილებით განხილვის შედეგად პოლიტბიურომ მიზანშეწონილად მიიჩნია სკკპ წესდების პროექტის დახვეწა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად მისი შეტანა.

სხდომაზე განიხილეს საკითხები, რომლებიც უკავშირდება სკკპ XXVIII ყრილობის მოწვევას, მათ შორის ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმის, დელეგატთა არჩევის წესის, პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მოწყობის საკითხები. ამ საკითხების გამო შესაბამისი წინადადებანი აგრეთვე განიხილება ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

პოლიტბიურომ განიხილა ცენტრალური კომიტეტის 1990 წლის თებერვლის პლენუმის შედეგებთან დაკავშირებული ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს ცენტრში და ადგილებზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლა პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში მთავარია გავმალოთ სკკპ XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის, სხვა საყრილობო დოკუმენტების საფუძვლიანი განხილვა, ენერგიულად გამოვიყენოთ ყრილობისათვის მზადება პარტიის რადიკალური განახლების განხორციელებისა და გარდაქმნის ამოცანების გადასაწყვეტად საზოგადოების ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციისათვის. ყველა მიმართულებით საჭიროა მივაღწიოთ პრაქტიკულ შედეგებს, გავაძლიეროთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების აქტიურობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ თავის 1990 წლის 20 თებერვლის განცხადებაში დაავალა სსრ კავშირის მთავრობას, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს ყველაფერი იღონონ 25 თებერვლისათვის განზრახული დემონსტრაციებისა და მიტინგების დროს მართლწესრიგის დასაცავად.

შეაფასა რა ქვეყანაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ადგილობრივ საბჭოებს აღმასკომებს, სამართალდაცვითს ორგანოებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობის წესის ზუსტად დაცვისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო ექსტრემისტული და დანშაულებრივი ელემენტების იმ ყოველგვარი ცდების აღკვეთას, რომ გამოიყენონ მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები უწესრიგობათა პროვოკაციული გამოწვევისათვის. ხელისუფლების ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებს დაევალათ გააცნონ მოქალაქეებს ინფორმაცია სანქციონირებული მიტინგების, მათი მოწყობის ადგილისა და დროის შესახებ, აგრეთვე მიტინგების, დემონსტრაციებისა და სვლების მოწყობის წესის ზუსტად დაცვისათვის მათი ორგანიზატორების პასუხისმგებლობის შესახებ.

ამ გადაწყვეტილების მიღებისას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობს ქვეყნის კონსტიტუციით, ხელმძღვანელობს იმით, რომ საჭიროა საბჭოთა მოქალაქეების სიცოცხლის, პატიოსნებისა და ღირსების დაცვა მათი ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ბრბოების ხელშეუხებლობის, საწარმო-ორგანიზაციათა ქონების დაცვის უზრუნველყოფა.

ქვეყნის მთავრობა მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, საწარმო-ორგანიზაციათა შრომითს კოლექტივებს გამოიჩინონ გამძლეობა, კეთილგონიერება და პასუხისმგებლობა, არ აჰყვნენ ემოციებსა და პროვოკაციებს, აქტიურად წინააღუდგნენ ანტისაზოგადოებრივ, კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს.

ახლა უმთავრესია მთელი პროგრესული ძალების კონსოლიდაცია საზოგადოებრივი სიმშვიდის ინტერესებისათვის, ქვეყნის ნორმალური შრომითი რიტმის უზრუნველყოფა.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

მოწოდება, სურვილი და რეალური სუვერენიტეტის გზა

რამდენიმე ჩანაფერი და... მცირეოდენი ლირიკული სენტენციები

I.

ბაზა პირველი ნაბიჯით იწყება. იქნებ სუსტიც, გაუბედავიც, ბოლომდე გაუთვითცნობიერებელიც, იყოს იგი, მაგრამ პირველი — მაინც პირველია. თუნდაც ჩვილის პირველი ნაბიჯი, მუხლის გამართვა და მთელი ოჯახის სიხარული გავიხსენოთ, ამასთან დაკავშირებული. შეედრება რაიმე ამ აღტაცებას? როგორ გაიმართება, საიკენ აიღებს გეზს, რომელ გზაზე გავა, ან — მივა კი საერთოდ დიდ გზამდე ეს პირველი ნაბიჯი?

ამჯერად — მივა. აუცილებლად მივა. მით უმეტეს, ეს სულ სხვა პირველი ნაბიჯია, ათასგზის მოზომილი და გათვალილი, უკვე მრავალ ძმიმე განსაცდელში გამოტარებული. ამასთან, საბოლოობის პრეტენზიისაგან თავის შემაკავებელი, უკანასკნელი სიტყვისა და განსჯის ერისათვის დამტოვებელი. აქედან მოდის თითქოს ჩვეულებრივი, მაგრამ ამჯერად ბევრის მიმანიშნებელი საოქმო ფორმულირებებიც:

„მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა სახეზოსთან არსებული სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის მიერ მომზადებული კანონის პროექტი საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ და შეტანილ იქნეს იგი საქართველოს სსრ უზენაეს სობჭოში განსახილველად“.

შემდგომ —

„გამოქვეყნდეს იგი რესპუბლიკურ პრესაში საერთო-სახალხო განხილვისათვის“.

სიფრთხილე გასაგებია: ერმა უნდა მიიღოს თავისი ერთ-ერთი უპირველესი კანონი, განსაზღვროს საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლები. რესპუბლიკის ხელისუფლებას ფაქტობრივად საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმზე გამოაქვს თვისებრივად სრულიად ახალ წინადადებათა პაკეტი. ეს გაკილებით მეტის დამტკიცი აქცოდა, ვიდრე ნებისმიერი კანონის მიღება: იცვლება საზოგადოებრივი თანაცხოვრების ნორმები და საფუძვლები, საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა სურვილებიდან და მოწოდებებიდან ისტორიულ ფაქტად იქცევა ჩვენს თვალწინ.

მცირეოდენი უკანდახევა მთავრობის თავმჯდომარის ნოდარ ჭითანავის მიერ ამსწორნანდელ პარტიულ პლენუმზე გაკეთებული კონსტატირების მოშველებით:

— **ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად ამას ვთვლიდი, და ვთვლი, რომ ჩვენს მრავალეროვან და რთული შემადგენლობის სახელმწიფოში გაერთიანებულ ერთა და ეროვნებათა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების მოწყობას თავის დროზე ნიველირებული მონოპოლიტიკით ერთიანი საზომით მიუდგნენ. ისე შეიქმნა, ჩამოყალიბდა ცხოვრების ახალი მოდელი, რომ არ იქნა გათვალისწინებული სხვადასხვა ხალხების ისტორიული გამოცდილება, კულტურის დონე, მეურნეობრობის ტრადიციული პრინციპები, ჩვევები, ფსიქიკა და სხვა. საბოლოოდ სხვადასხვა ერებს, ხალხებს სოციალიზმის აშენების მხოლოდ ერთი მოდელი, მისი იდეოლოგიური და პოლიტიკური უზრუნველყოფის ერთი და იგივე ფორმები, საშუალებები და მეთოდები განესაზღვრეს. წინააღმდეგობები, დეფორმაციები, ავტოკრატიის ეს მეტასტაზები ავადებდა ქვეყნის საზოგადოებრივ წყობას და მან მხოლოდ გარკვეულ პერიოდს ეყუნა. გარდაქმნების ტოტალიზებური განვითარების პროცესებმა მთლიანობა დაარღვია და ახლა გარდაქმნა მიმდინარეობს არა ერთი მოდელით, სქემით, როგორითაც სოციალიზმი „ავაშენეთ“, არამედ კონკრეტული რეგიონის, ხალხის ეროვნული თავისებურებების, თვისებების, ჩვეულებებისა და ტრადიციების აქტიური ზეგავლენით. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, თვით საქართველოს სხვადასხვა რაიონშიც კი განსხვავებულ პირობებში ჩამოყალიბდა და ღრმავდება გარდაქმნის პროცესი, მისი გამოვლინების ფორმები, ხალხის განწყობა, ორგანიზების დონე და მიზნები.**

და კიდევ:

— **ჩვენს ხალხს სახელმწიფოებრიობის მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს, რომელსაც რატომღაც მართებულად არ ვითვალისწინებთ. მაგალითად, დაკით აღმაშენებლის ან თამარ მეფის ეპოქის სახელმწიფო მმართველობის, სამეურნეო ცხოვრების მოწყობის საფუძვლები (ეკმაყოფილდებით მხოლოდ მათი აღწერებით), ან დავითისეული რჯულთშეშფოთებულობის კონციფცია. ღრმად ჩავწვდით კი საქართველოს გაერთიანების დავითისეული პოლიტიკის არსს? რა დიდი საფუძვლად მის რეფორმებს? ან რამ განაპირობა იმდროინდელი სახელმწიფო მოდელის, სტრუქტურების წარმატებული ფუნქციონირება? და რამ გამოიწვია შემდგომში მათი რღვევა?**

ყველა ხალხს თავის ბუნებრივ თვისებებში ისეთი ნიუანსები აქვს, რომელთა გათვალისწინებაც განვითარების რთულ გზაჯვარედინებზე აუცილებელია. (იმავე სტენოგრამიდან).

აი, სწორედ ასეთი მიდგომა, პრინციპები და მოსაზრებები უდევს საფუძვლად ახალ კანონპროექტს. მხოლოდ რამდენიმე აბზაცი, მისი არსის განმაზოგადებელი და მიმართულების მიმცემი:

„საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი საწყისი პირობებია რესპუბლიკის სუვერენულობა, მისი საკუთრების განკერძოებულობა და სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მთლიანობა“...

„საქართველოს სსრ სამეურნეო საქმიანობა ხორციელდება საკუთრების მრავალსახეობის, თანასწორუფლებიანობისა და მათი სახელმწიფოებრივი დაცვის, საბაზრო ურთიერთობების განვითარების, რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთიანობის სამართლებრივი და სამეურნეო დამოუკიდებლობის და თავისუფალი პარტნიორობის პირობებში“...

„სამეურნეო საქმიანობა საქართველოს სსრ წარიმართება მკვიდრი ერების, როგორც პოლიტიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი სუბიექტების ძირეული ინტერესებიდან გამომდინარე. რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა მოსახლეობას ექმნება კანონიერ სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარანტირებული პირობები საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსის შესაბამისად“...

„საქართველოს სსრ, როგორც სუვერენული სახელმწიფო, ეროვნული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, თავის ბუნებრივ დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და კულტურულ შესაძლებლობათა ფარგლებში მონაწილეობს შრომის საკავშირო და საერთაშორისო დანაწილებაში ურთიერთხელსაყრელი საქონელგაცვლის და ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა ფორმების გზით, თანასწორუფლებიანი პარტნიორობის პრინციპების შესაბამისად დადებულ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა საფუძველზე“...

ერს, რომლის სულიერ სადროშოებზეც ქრისტიანული ამაღლების დევიზები ჯერ კიდევ თხუთმეტი საუკუნის წინათ აღიბეჭდა, მეტი ეკადრება, მეტი შეუძლია, და მოთხოვნითაც გაცილებით მეტი მოეთხოვება. სახელდობრ ამ შესაძლებლობებზე, ან — ამ ფაქტს თვით დრო, ჩვენი ახლო მომავალი აიყვანს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის რანგში.

II.

გასაგებია: ვჩქარობთ. ეს საუკუნე ქართველი კაცისათვის ისე აეწყო, რომ ყველაფერში და ყველგან ვჩქარობთ. მაგრამ მაინც ყველგან და ყველაფერში გვაგვიანდება. თითქოს განგებისად ვივიწყებთ წინააღმდეგ გასაოცარ გაკვეთილებს. ერთიანი საქართველოსათვის დამაშვრალი გრიგოლ ხანთელიდან (ცოტა ქვემოთ სულ სხვა კონტექსტში კვლავ რომ მივუბრუნდებით ამ წმინდა სახელს) სამსი წელი გავიდა დავით აღმაშენებლის ძლიერ საქართველომდე. ახლა სამსი წელი კი არა, სამსი დღეც წარმოუდგენლად დიდ დროდ გვეჩვენება, იმდენ სიაბლეს ატევს ყოველი დღე და საათი, იმდენი რამ არის გადამწყვეტი, ალბათ, ის არის, რაც უფრო მრავალრიცხოვანი იქნება ეს **ჩვენ** — ერთი დროშის ქვეშ მდგარი, ერთ რწმენაზე დაფიცული და წილნაყარი.

დიახ, დღეს იჭრება მომავალი საქართველოს მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიკური ბალავარი, რეალური საქმით, რა თქმა უნდა, არა შიშველი სიტყვით. მაგალითი? უკვე მოგახსენეთ.

III.

რეალური საქმის კარგი მაგალითი იმდღევანდელ სხდომაზე სხვაც იყო. მხედველობაშია საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქ. თბილისში განლაგებულ საწარმოთა მიერ წარმოების რენტაბელობის ამაღლებისათვის გაწეული მუშაობის შედეგების განხილვა. ანგარიში დარგის ხელმძღვანელმა ბელა მაყაშვილმა წარმოადგინა.

მინისტრის ანგარიშიდან:

„1988 წელს 1 მანეთი სასაქონლო პროდუქციის წარმოების ხარჯები წინა წელთან შედარებით შემცირდა 1,46 პროცენტით, ხოლო 1989 წელს 1988 წელთან შედარებით — 1,49 პროცენტით. 1987-1989 წლებში ზარალიანი პროდუქციის გამოშვება 26-დან 12 დასახელებამდე შემცირდა.

გასული წელს მოგების გეგმა თბილისის საწარმოებში შესრულდა 107 პროცენტით, ანუ შედგინა 87 მილიონი მანეთი, რაც ოცდაათი პროცენტით აღემატება 1988 წლის შესაბამის მაჩვენებელს. უკანასკნელ სამ წელიწადში მოგება 37 მილიონი მანეთით გაიზარდა. ამის შედეგად 1987-1989 წლებში წარმოების რენტაბელობა 11,6-დან 24,8 პროცენტამდე გადიდდა“...

ძვრები აშკარაა. სხდომის თავმჯდომარის შეფასებით, უაღრესად მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული. ხარისხის გარკვეულმა ფაუჭარობესმამ მოგების დონის ძალიანაც გამოიწვია, ფამოკვეთდა რენტაბელობის მაჩვენებლები. მაგრამ მთლიანად დარგშიც და თბილისის საწარმოებშიც ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებისთვის ვერ დაუღწევიათ თავი. გასულ წელს დედაქალაქის 28 საწარმოდან ხუთმა ვერ შეასრულა მოგების გეგმა, საერთო გარღვევამ თითქმის ოთხი მილიონი მანეთი შადგინა. ამ მაჩვენებლის მიხედვით ძალზე ჩამორჩნენ ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“, სამკერვალო ფაბრიკის, სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“, ტყავის საწარმოო გაერთიანების, მოდისა და კულტურის რესპუბლიკური ცენტრის შრომითი კოლექტივები. მიზეზი?

რეალიზაციის დონის შემცირება, არამწარმოებლური ხარჯების დაშვება. და კიდევ — გარკვეულწილად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ის მოვლენები, რომლის მიმართაც გულგრილად საქართველოში თითქმის არაერთ დარჩენილა. საკითხის განხილვა ძირითად არსს ოდნავადაც არ დასც�eლია, მხოლოდ ელფერი, მიმართულება და წახნაგები იყო სრულიად განსხვავებული. დიახ, აქცენტების გადანაცვლება—ამჯერადაც, ზარდის დიალექტიკის სრულიად განსხვავებულ საკითხებზე. ეკონომიკა და პოლიტიკა, უფრო სწორად — ეკონომიკა საოცრად პოლიტიზირებული საზოგადოების პირობებში... საილუსტრაციოდ — მხოლოდ ერთი ნაწყვეტი სტენოგრამიდან.

სხდომის თავმჯდომარე:

— **არამწარმოებლური ხარჯები ბევრი იყო? როგორია მათი სტრუქტურა?**

ადონის ბანტურია: — **პროდუქციის მიუწოდებლობა, ჯარიმები, ბანკის სესხი... 1988 წელი, 1989 წლის დასაწყისი კოლექტივისათვის ძალიან კარგი იყო. როგორც ფინანსურად, ასევე ეკონომიკურადაც გაიმართა წარმოება, შემცირდა მუშახელის დენადობა. ყველა ჩვენი უბედურება გასული წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ჯერ ერთი, იძულებული გავხდით დაგვეკეტა ვარკეთილის წარმოება და დანადგარები სათავო ფაბრიკაში გადმოგვეტანა. ვერ გავითვალისწინეთ ვერც ის, რომ დაიკეტებოდა ქალთა კოლონია, საგარეჯოს პროფილაქტიკური დაწესებულება და ყველა ის კოოპერირებული ორგანიზაცია, რომელიც ნედლეულისა თუ ნახევარფაბრიკატების მოწოდებაში გვეხმარებოდა. ცხადია, ამან განაპირობა ზეგმეტის ჩავარდნა. ისიც უნდა ითქვას, რომ წლის მეორე ნახევარში ჩვენმა კოლექტივმა თითქმის ყველა გაფიცვაში მიიღო მონაწილეობა. ამანაც გამოიწვია შეფერხება: დამატებითი ხარჯების გაჩრდა, ჯარიმების გადახდა პროდუქციის მიწოდების გრაფიკების ჩაშლის გამო, გარღვევები ელექტრომომარაგებაში, ტრანსპორტის ცუდი მუშაობა...**

— **რამდენი კაცი მუშაობს წარმოებაში?**

— **უნდა იყოს 3800 კაცი, ლიმიტით სამას კაცზე მეტი გვაკლია. დღემდე ქალაქს ვთხოვდით დახმარებას, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდა ხალხის მიღება. ძალიან ბევრი კვალიფიციური მუშა წავიდა კოოპერატივებში. დავდივართ რუსთავში, მარნეულში, თბილისის შემოგარენში.**

— **ამ 3400 კაციდან რამდენი უჭერს მხარს ადმინისტრაციას?**

— **მე ვერ ვიტყოდი, რომ ვინმე მხარს არ გვიჭერს. ჩვენ გვაქვს სისტემაური დიალოგი, ვხედავთ ჩვენი ქარხნის სახალხო ფრონტის წარმომადგენლებს. ბევრ მათს მოსაზრებას ვიზიარებთ, მხარს ვუჭერთ, მათთან ერთად ვცდილობთ სოციალური საკითხების გადაწყვეტას. ყოველივე ამან შექმნა კოლექტივში სტაბილიზაციის პირობები. დღეს ხალხი ანგარიშს უწევს იმასაც, რომ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ხელფასები ვერ მივიღეთ გასულ წელს, დავკარგეთ მეცამეტე ხელფასი, პრემიები. დაახლოებით 120 ათასი მანეთის პრემიები ვერ გაიცა. ახლა ეს საკითხები გვარდება, წარმოება გამართულად მუშაობს.**

სულ სხვა ასპექტში წარმოჩნდა ავთანდილ კვარაცხელია, სამკერვალო ფაბრიკის „ამირანის“ ახლადარჩეული დირექტორი. შრომითი კოლექტივი დაირაზმა, თავი გაართვეს რთულ პირობებში მუშაობას. ნედლეული ჭირს, ხშირია ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევებიც, მაგრამ იანვრის გეგმები მაინც შესრულდა. მინისტრი აუცილებლად თვლის ახლადარჩეული ხელმძღვანელისათვის მხარდაჭერას:

— ამ საწარმოში განსაკუთრებული მდგომარეობა იყო შექმნილი. თავის დროზე სამინისტროსაც ვერ მოაბა თავი პრობლემების გადაჭრას, ამანაც დაძაბა ვითარება. ახლა ახალი დირექტორია, კოლექტივი დღითი-დღე აუმჯობესებს მდგომარეობას. ჩვენც გვლიან დიდ ფინანსურ დახმარებას ვუწევთ საწარმოს.

და შემდეგ, განხილვის შედეგების შეჯამებისას, მხარდაჭერის ეს კონკრეტული მაგალითი სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი მთავრობის დამოკიდებულების პოზიციის სახით ყალიბდება სხდომის თავმჯდომარის სიტყვაში:

— **დღეს წარმოების ხელმძღვანელებს, დირექტორებს ურთულეს ვითარებაში უხდებათ მუშაობა. არცერთ დირექტორს განვლილ პერიოდში ასეთ რთულ პირობებში არ უმუშავია. ადრე, ადმინისტრაციულ-განმკარგულებელი სისტემის ფუნქციონირებისას, დირექტორებს სულ სხვაგვარი მხარდაჭერა ჰქონდათ. ქკვიანი დირექტორი კარგად აზომილ-გაზომილ ბრძანებას გამოსცემდა და ამით არეგულირებდა ყოველგვარ ურთიერთობებს. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ავტორიტეტი აქვს დირექტორს, არის თუ არა ლიდერი, როგორი პირადი თვისებებითაა მომადლებული.**

ამიტომ ხელაღებით სამეურნეო ხელმძღვანელთა ამ კატეგორიას არ უნდა მივუდგეთ. დღეს ერთადერთი კაცი, რომელმაც საკუთარ მხრებზე უნდა გადაიტანოს ყველაფერი, წარმოების ხელმძღვანელი, ფაბრიკის, ქარხნის დირექტორია. ეს უნდა იცოდეს ყველამ — სამინისტრომაც, მინისტრთა საბჭოს აპარატმაც, რომ სამეურნეო ხელმძღვანელებს მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდეთ ჩვენგან, მთავრობისაგან, ყველა საკითხში. სხვანაირად ეკონომიკისა და სოციალური განვითარების ურთულეს ამოცანებს ჩვენ ვერ გადავწყვეტთ.

აქვე და ამასთან დაკავშირებით თქმა ისიც, რომ უწინარეს ყოვლისა, სწორედ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებს, პირადად დირექტორებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ საწარმოში შექმნილია იმის პირობები, რომ დატაცონ სახელმწიფო ქონება, ვერავითარი მილიცია, სასამართლო და პროკურატურა იქ ამ ხვრელებს ვერ ამოავსებს. ეს უწინარესად თვით საწარმოთა დირექტორების პრობლემაა. ამდენად, მათი პირადი პასუხისმგებლობის საკითხიც ხაზგასმით უნდა გამოიკვეთოს, — ასეთია საერთო თვალსაზრისი.

და კიდევ ერთი აბზაცი შემაჯამებელი სიტყვიდან:

— **მუშახელთან დაკავშირებით: „ისანის“ დაკომპლექტება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან, რაიაღმასკომებთან, სამინისტროსთან ერთად აუცილებლად თბილისელების ხარჯზე უნდა უზრუნველვყოთ. სხვა მიდგომა აქ არ შეიძლება არსებობდეს. თბილისელთა ხარჯზე, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. ჩვენ ახლა თბილისიდან გავგვაყვეს ხალხი, ვეძებთ საშუალებებსა და შესაძლებლობებს, დედაქალაქი როგორმე რომ განიტვირთოს. დიდი მუშაობის ჩატარება მოგვიხდება რესპუბლიკის მოსახლეობის განსახლების ერთიანი სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად. თბილისში არათბილისელი ასეთ სამუშაოზე არ უნდა შემოგვყავდეს, — ესეც მიდგომა — პოზიციაა.**

IV.

— **ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდებოდა, ამას კი ვერ წარმოვიდგენდი...**

ასეთი გულწრფელი განცხადების მიღმა, სამწუხაროდ, უმძიმესი წელი დგას. თითოეულმა ჩვენთაგანმა ზედმიწევნით კარგად იცის მისი ფასი. რესპუბლიკას უკიდურესად მძიმე პირობებში უხდებოდა ეკონომიკური პროგრამის განხორციელება. წლის დასაწყისიდანვე შექმნილმა ურთულესმა სიტუაციამ, ხშირმა სტიქიურმა მოვლენებმა, თავსდატეხილმა თავზარდამცემმა ტრაგედიამ, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების საქმეში არსებულმა შეფერხებებმა, სხვა ობიექტურმა მიზეზებმა მნიშვნელოვნად შეაფერხეს სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის მუშაობა, შეამცირეს მათი ფინანსური შესაძლებლობანი. და მაინც: გასაკეთებელი გაკეთდა, რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის გეგმა, წინასწარი მონაცემებით, წარმატებით იქნა რეალიზებული. ჩემი კოლეგები უკვე წერდნენ „კომუნისტში“ ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, ამიტომ მხოლოდ ერთი მინიშნებით შემოვიფარგლები:

ბაკურ გულუა, რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ აუცილებელია სიმძიმის ცენტრი ადგილებზე გადავიტანოთ, რეალურ ფაქტად ვაქციოთ ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილებათა გაფართოება.

დემურ დვალიშვილი, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი, თავის მხრივ აღნიშნავს, რომ იგი კარგა ხანია მხარს უჭერს დაფინანსების მეტი ნაწილის ადგილობრივ დაქვემდებარებაში გადაცემას, მაგრამ ეს საკითხი დღემდე ვერ გადაწყდა.

იკვეთება კიდევ ერთი კონკრეტული უბანი რესპუბლიკური გამგებლობის უფლებათა ადგილობრივი საბჭოებისათვის დელეგირებისა. ეს უკვე ხალხის რეალური ხელისუფლების განმტკიცების რანგს განეკუთვნება.

ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებათა ერთიანი კომპლექსის კონტექსტში განიხილება დუშეთის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი სახის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საფასურის დაწესების ექსპერიმენტის ჩატარების, რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფორმირებისა და რეალიზაციის წესის, საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსში 1990-2000 წლებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პროგრამის კონცეფციის, რესპუბლიკის საგანგებო ეპიდსაწინააღმდეგო კომისიის დებულების დამტკიცების, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ და საზოგადოებრივსასარგებლო შრომით დაუსაქმებელ პირთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობებისადმი კონტროლის უზრუნველყოფის, რიგი ერთობლივი საწარმოების შექმნისა და ფუნქციონირების საკითხები.

ცხოვრებისა და არსებობის რიტმი აქ სულ სხვა განზომილებას იძენს...

V.

და კიდევ ერთი, ამჯერად უკანასკნელი ამონაწერი სხდომის ოფიციალური ოქმიდან, დიდი მამულიშვილის სახელთან დაკავშირებული:

„დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს შუამდგომლობა, შეთანხმებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და საქართველოს მწერალთა კავშირთან, და თბილისის კ. დ. უშინსკის სახელობის № 1 რესპუბლიკურ ექსპერიმენტულ საშუალო სკოლას ამიერიდან მიეკუთვნოს ცნობილი ქართველი მოღვაწისა და განმანათლებლის გრიგოლ ხანძთელის სახელი...“

რა თქმა უნდა, არაფერი საოცარი არაა იმაში, ერი რომ თავის დიდ სახელებს იხსენებს ახლა. საკვირველი ის იყო, გაუცხოების ეს პროცესი (ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ამდენ ხანს რომ გრძელდებოდა, თავად ოქრო-ბაჯაღლოში ჩაფლულები სხვის ხურჯინებში რომ ვეძებდით ბიზიელებს...

მაგრამ თავადი მაინც სულ სხვაა.

ეს არ არის მხოლოდ შემობრუნება სახელებისაკენ; ეს არც აბრების რევოლუციაა, ერთი გონიერი კაცის მოსწრებული თქმისა არ იყოს. ეს უფრო დიდი და ღრმა, მრავალსმომცავი პროცესია. ჩემი გაგებით, ეს ერისეული განწყობილებებისაკენ, მისდ სულიერ ფასეულობებისაკენ, ძირძველი რწმენისაკენ შემობრუნებაა; აი, იმ განწყობილების გამოხმობა, უზენაესობა და უცილობლობა გახლავთ, რომელსაც ასეთი საოცარი ქართულით ღაღადებდა თავად გრიგოლ ხანძთელი ამ ათას ორასი წლის წინათ, და კიდევ უფრო ადრე:

„დაუხაბამოსა მზისა ნათლისა ნათლისადითა დამდაბლებულ არიან და დაბნელებულ უკუნისამდე მავნებელნი სულნი ბოროტნი, და მზებრ ნათობენ ნათელლებული ადამეანნი“.

ლაშა ალექსიშვილი.

უკსოეთში

საქართველოს რესპუბლიკა

24 თებერვალი

● პოლონეთი

პრეზიდენტის წერილი

ვარშავა. პოლონეთი მხარს უჭერს გერმანიის გაერთიანების პრობლემის ისეთ გადაჭრას, რომელიც არ შექმნის პოტენციურად საშიშ ვაკუუმს დღემდე არსებული უშიშროების შემოწმებული სისტემის შემდეგ, რომელიც ეყრდნობა ძალთა წონასწორობას, ნათქვამია პოლონეთის პრეზიდენტის იარუზელსკის წერილში პოზნანში მიმდინარე პოლონეთის რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მე-6 ფორუმისადმო, რომელშიც მონაწილეობენ პოლიტიკური, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეები.

რადგან გერმანიის გაერთიანების პროცესს აქვს თავისი წმინდა პოლონურ-გერმანული ქვეტექსტიც, აღნიშნავს პრეზიდენტი, პოლონეთმა განაცხადა, რომ მზად არის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს ამ პრობლემაზე დაგეგმილ კონფერენციაში. პოლონეთის დასწრება ასეთ შეხვედრებზე მას მიაჩნია როგორც არსებითი შესაძლებლობა უკვე ამ, ყველაზე ადრეულ ეტაპზე გერმანიასთან ახალი დონის თანამშრომლობის დამყარებისათვის.

● უნგრეთი

გამოვლენ საბჭოთა ჯარები

ბუდაპეშტი. **მოელიან, რომ უახლოეს რამდენიმე კვირაში ხელს მოაწერენ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საშინაურო-სამართლებრივ ურთიერთობათა შეთანხმებას უნგრეთის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების მთლიანად გაყვანის თაობაზე.** ეს განაცხადა სამხრეთის ჯგუფის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა მ. ბურლაკოვმა.

პირველ ეტაპზე ქვეყნიდან გაიყვანენ სატანკო დივიზიას, სარაკეტო და საავიაციო ქვედანაყოფებს. მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია დანარჩენი ჯარების გაყვანა.

სამხრეთის ჯგუფის ჯარების შენახვა მთლიანად საბჭოთა სახელმწიფოს აკისრია. საქონლის ანაზღაურება, რომელსაც ეს ჯარები უნგრეთის საწარმოებისაგან იღებენ, ხორციელდება სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიერ ან საგარეო-სავაჭრო შეთანხმების ფარგლებში.

● ინდოეთი-პაკისტანი

პრემიერ-მინისტრი აფრთხილებს

დელი. **ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ვიშვანთ ჰპრათაპ სინგმა გააფრთხილა ისლამაბადი არ განახორციელოს „ომის ზღვარზე წონასწორობის პოლიტიკა“. ყოველგვარ სამხედრო ავანტიურას რეგიონში სათანადო პასუხი გაეცემა, რესპუბლიკა თავისი ტერიტორიის არც ერთ გოჯს არ დათმობს, განაცხადა მან ქალაქ ჯაიპურში (ბიმარის შტატი) მასობრივ მიტინგზე გამოსვლისას.**

ინდოეთის მთავრობის მეთაურმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ყველა სადავო პრობლემა პაკისტანთან უნდა გადაწყდეს 1972 წლის სიმლის შეთანხმების სულისკვეთებით. ინდოეთის პოზიციამ ჭამუსა და ქაშმირის საკითხში, აღნიშნა პრემიერმა, საერთაშორისო აღიარება პოვა, ისლამაბადი კი ქაშმირის პრობლემას მხოლოდ „ანგარებითი მიზნით“ იყენებს.

● მადაგასკარი

„მკვდარი სულები“ სახელმწიფო აპარატში

ანტანანარივუ. **მადაგასკარში დაიწყო სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მოხელეთა აღწერა.**

რესპუბლიკის მთავრობამ ეს ნაბიჯი გადადგა იმისთვის დაკავშირებით, რომ ამჟამად სახელმწიფო აპარატში არავინ იცის მოხელეთა ნამდვილი რაოდენობა, დამოუკიდებლობის თითქმის 30 წლის მანძილზე ქვეყანაში არც ერთხელ არ ჩაუტარებიათ სახელმწიფო მოსამსახურეთა აღრიცხვა. ამიტომ ახლა, როცა მადაგასკარი იძულებულია გადაიხადოს დიდძალი საგარეო ვალი, სახელმწიფო ხარჯების შემცირების მიზნით ხელისუფლებამ გადაწყვიტა წესრიგი დაამყაროს ამ ხელმოშვებულ მეურნეობაში.

მთავრობას საკმაო საფუძველი აქვს დაეჭვდეს მრავალი „მკვდარი სულის“ არსებობაში. ხშირად ინფორმაცია ამა თუ იმ დაწესებულების მუშაკის გარდაცვალების სხვა სამუშაოზე გადასვლის ან პენსიაზე გასვლის შესახებ დიდი ხნით ფერხდება „გზაში“. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ზოგჯერ თვეობით და წლობითაც კი, ხაზინა მათ ხელფასს უხდის. ნათესავები ან თვით მოხელე — „მკვდარი სული“ ითვისებს ფულს, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი ბანკის მეშვეობით ირიცხება ოჯახის საერთო ანგარიშზე. ხშირად ხელფასი იგზავნება შემნახველ სალაროში. ამ შემთხვევაში მისი მიღება შეიძლება პენსიაზე გასული პირის ან გარდაცვლილი მოსამსახურის პირადობის მოწმობით.



მოჩიკის კულტურის საიდუმლოება

კიდევ ერთი მძარცველთაგან ხელშეუხებელი სამარხი აღმოაჩინეს არქეოლოგებმა პერუს ლამბაიკის დეპარტამენტის სოფელ სიპანის ახლოს, რომელიც უძველესი ინდიელთა ტომის მოჩიკის კულტურას ეკუთვნის. წუნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე აქამდე უცნობი სოფლის სახელი ფართოდ პოპულარული გახდა არქეოლოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური გამოცემების სამყაროში.

აქ მიმდინარე გათხრები, ცნობილი პერუელი მეცნიერის ვალტერ ავილას ხელმძღვანელობით, სიძველეთა გამოკვლევის პრაქტიკაში უიშვიათესი წარმატებით დაგვირგვინდა. ოთხი მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს ქეთრუმის ან ტომის ბელადის სამარხი. მეცნიერთა ხელთაა მოჩიკის კულტურის მრავალი ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობა, ძვირფასი თვლებით მორთული სამკაულები, კერამიკული ნაკეთობანი, სულ 663 საგანი.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ თავისი კულტურული მნიშვნელობით ეს სენსაციური აღმოჩენა არ ჩამოუვარდება 1922 წელს აღმოჩენილ ეგვიპტის ფარაონის ტუტანხამონის სარკოფაგს.

ვალტერ ალვის აზრით, ლამბაეკის დეპარტამენტის არქეოლოგიური აღმოჩენა ინდიელთა უძველესი კულტურის საიდუმლოების გასაღებია. მოჩიკის ხალხებმა ახალი ერის პირველი ათასწლეულის შუა ხანებში შექმნეს მძლავრი სახელმწიფო განვითარებული მიწათმოქმედებითა და ხელოსნობით, აშენებდნენ დიდებულ პირამიდებს, გაჰყავდათ გზები. ყამთასვლამ თან წარიტანა გამქრალი უძველესი კულტურის ნაშთები. სიპანის სამარხიდან ამოღებული საგნების შესწავლამ ისტორიკოსები აიძულა საფუძვლიანად გადაესინჯათ ინკებამდელი კულტურის ქრონოლოგია.

პირველი ექსპედიციის მიერ ნაპოვნი ნივთები ახლა სარესტავრაციოდ არის გატანილი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ადგილზე გათხრები კვლავ გრძელდება. „სიპანლილატორნის“, ასე მონათლეს იგი მეცნიერებმა, სამარხის შემდეგ აღმოაჩინეს კიდევ ორი სამარხი, რაც უფლებას აძლევს მეცნიერებს ივარაუდონ, რომ ზოგანი, სადაც მიმდინარეობს გათხრები მოჩიკის სახელმწიფოს ბელადთა, ქურუმთა და სარდალთა სასაფლაოა. სპეციალისტები, რომლებიც თვალს ადევნებენ გათხრებს, ეარაუდობენ, რომ მთავარი სენსაცია ჯერ კიდევ წინაა. ალვის თქმით, გამორიცხული არ არის, რომ მალე აღმოაჩენენ უზენაესი ხელისუფლის მავზოლეუმს.

სურათებზე: სამარხებში ნაპოვნი ზოგიერთი ნივთი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ

კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით

დამთავრდა რესპუბლიკის უ

ᲞᲠᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

ᲛᲐᲯᲐ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის 20 სექტემბრის პლენუმის მიერ თანამედროვე პირობებში ეროვნული პოლიტიკის საკითხზე მიღებულ პლატფორმაში ნაციონალ-უკლონიზმის შესახებ ნათქვამია:

„ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პოლიტიკური რეგლამენტაციის კომისიამ საგანგებოდ განიხილოს ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონიზმის“ ბრალდებებთან დაკავშირებული საკითხები, მისცეს მათ შეფასება, აღიხვრა სახელი იმ პარტიულ უდგომლ საბჭოთა მოღვაწეებს, რომლებსაც ამ მიზეზით პოლიტიკურად სახელი გაუტეხეს“.

ტერმინი „ნაციონალ-უკლონიზმი“ გაჩნდა 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებში პარტიულ დოკუმენტებსა და პრესის ფურცლებზე. ამ მკვეთრი სიტყვებით მონათალი მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ბირთვი, რომელშიც შედიოდნენ პარტიისა და სახელმწიფოს მოღვაწენი ბ. მდივანი, ფ. მახარაძე, ს. ქავთარაძე, კ. ცინცაძე, მ. ოკუჯავა, ე. ეშბა, მ. ტოროშელიძე და ბევრი სხვა.

საკითხი „ნაციონალ-უკლონიზმის“ შესახებ არაერთხელ წამოჭრილა ქართველ ისტორიკოსთა წინაშე, მაგრამ, სამწუხაროდ, მათს პასუხებში მუდამ იგრძნობოდა იმ პერიოდის ისტორიულ მეცნიერებაში საკმაოდ დამკვიდრებული დოგმატიზმისა და კონიუნქტურულობის გავლენა.

ახლა, როდესაც სერიოზულად ვცდილობთ აღვადგინოთ ნამდვილი ისტორიული სიმართლე ჩვენს წარსულზე, აღმოვფხვრათ „თეთრ-ლაქები“, ფაქტების განზრახ დანიჭიკება და გაყალბება, დადგა დრო გავერკვეთ „ნაციონალ-უკლონიზმის“ ისტორიაშიც.

მართლაც, უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის მიერ ამ საკითხის მეცნიერული შესწავლისა და დამუშავების დარგში დიდი წვლილი იქნა შეტანილი. 1988 წელს წინამდებარე სტატიის ავტორის მიერ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა პრობლემური ხასიათის სტატია, რომელსაც მაღალი შეფასება მიეცა გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ერთ-ერთ ოფიციალურ მასალაში. გაზეთმა „კომუნისტმა“ აღნიშნულ საკითხზე გამოაქვეყნა პროფესორების გ. ყვანიასა და ლ. თოიძის საუბარი გაზეთის კორესპონდენტთან. ამავე საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა მოაწყო დისკუსია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოახდინა „ნაციონალ-უკლონისტებად“ წოდებულთა სრული პოლიტიკური რეაბილიტაცია. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს გ. ყვანიას სტატიას „ეგრეთ წოდებული ნაციონალ-უკლონიზმის შესახებ“, რომელშიც ავტორის მიერ ამავე საკითხზე გაზეთ „ზარია ვოსტოკში“ გამოქვეყნებულ სტატიასთან განსხვავებით, ახალი მასალების საფუძველზე უფრო ფართოდაა განხილული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელთა ძირითადი ბრძოლა „ნაციონალ-უკლონისტებად“ მონათვლის ისტორია.

• • •

როგორც ცნობილია, პოლიტიკური ბრალდება „ნაციონალ-უკლონისტები“ გაჩნდა იმ კონფლიქტების მსვლელობაში, რომლებიც წარმოიშვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე. ეს დავა ეხებოდა იმ პერიოდის ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ბევრ პრინციპულად დიდმნიშვნელოვან კსპეკტს.

კერძოდ, ეს უთანხმოებანი ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ამიერკავკასიის მასშტაბით რკინიგზების გაერთიანების, თბილისში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის დაფუძნების, ფულის რეფორმის, ქართული არმიის შექმნის, პროფკავშირების სტრუქტურისა და მთელ რიგ სხვა საკითხებს.

აღნიშნულ საკითხებზე უთანხმოების ძირითადი მიზეზი ის გახდა, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო ამ ღონისძიებათა განხორციელებისას ზმირად მიმართავდა მბრძანებლური მეთოდებს, ადმინისტრაციული იძულების ღონისძიებებს, ცდილობდა მათს განხორციელებას ერთი დაკვრით ყოველგვარი მოსამზადებელი მუშაობის გარეშე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა კი წინადადებას აყენებდა აღნიშნული საკითხები გადაეწყვიტათ არა მბრძანებლური გზით, არამედ ორგანიზაციულად, უგულუბი ფაციფუცის გარეშე, მოფიქრებულად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციებისა და ფართო მშრომელი მასების მხარდაჭერით.

1921 წლის აგვისტოში წარმოიშვა უთანხმოება ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანების საკითხეც. სხვებთან შედარებით ამ საკითხზე უთანხმოებამ უფრო მწვავე და მძაფრი ხასიათი მიიღო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ შემთხვევაში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს საპირისპირო პოზიციაზე დადგა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი არ ეწინააღმდეგებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანების აუცილებლობას, მაგრამ მოითხოვდა მის განხორციელებას სამეურნეო შეთანხმებებით და წინადადებას აყენებდა ეს და მასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებანი გაეტარებინათ პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა ფართო მასების მხარდაჭერით.

მაგრამ კავბიურო უგულებელყოფდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრს და ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანება მიაჩნდა უშუალო პრაქტიკის საქმედ, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო, და განაგრძობდა მის გატარებას ისე, რომ გულდასმით არ ამოწმებდა, არსებობდა თუ არა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანების აუცილებელი წინამძღვრები, ანგარიშს არ უწევდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების აზრს, არავითარ წინასწარ ახსნა-განმარტებითს მუშაობას არ ეწეოდა მასებში, არ ამამდა ამ საქმეში პარტიულ ორგანიზაციებს.

და შემთხვევითი როდია, რომ ბევრი ღონისძიება, რომელთა განხორციელებას ღამობდა კავბიურო, ორჯონიკიძის — კავბიუროს ფაქტიური ხელმძღვანელის — აღიარებით, არ განხორციელებულა, კერძოდ, ჰაერში იყო გამოკიდებული რკინიგზისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული ორგანოების შექმნა, შეუსრულებელი დარჩა აგრეთვე სავალუტო ფასეულობათა საგარეო ვაჭრობისათვის გადაცემის გადაწყვეტილება და ა. შ.

კავბიუროს ღონისძიებათა ჩაშლის ძირითად მიზეზად მიაჩნდა „საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია საქართველოსა და აზერბაიჯანში ზოგიერთი ამხანაგის მხრივ“. ამიტომ კავბიუროომ დაუყოვნებლივ გადამწყვეტ ზომებს მიმართა მთავარ „დამნაშავეთა“ წინააღმდეგ, განსაკუთრებით საქართველოს — კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

უკვე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პლენუმის გადაწყვეტილებაში „ამიერკავკასიას საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობის შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 1921 წლის ივლისის პირველ რიცხვებში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას ბრალად ედებოდა „გადახრა ნაციონალიზმისაკენ“.

ასე შევიდა ხმარებაში ტერმინი „ნაციონალ-უკლონიზმი“, ასე დაედო სათავე „ურჩების“ დევნაშევიწროებას, რაც შემდგომ ბევრი მათგანის ფიზიკური მოსპობით დასრულდა.

ჩვენი აზრით, „ნაციონალ-უკლონიზმის“ ბრალდება კავბიუროს ხელმძღვანელობას იმისათვის დასჭირდა, რომ გაემართლებინა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის დროს დაშვებული საკუთარი შეცდომები.

მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანება არ მოხერხდა, კავბიურომ გაიუქმა შესაბამისი გადაწყვეტილება და თავის 1921 წლის 2 ნოემბრის პლენუმზე მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ.

კავბიუროომ ამ შემთხვევაშიც შეუწყნარებელი აჩქარება გამოჩინა იმით, რომ ეს საკითხი გადაწყვიტა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან შეუთანხმებლად, პარტიულ ორგანიზაციებში წინასწარ განუხილველად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პრინციპულად არ იყო ფედერაციის წინააღმდეგი, მაგრამ მავნედ მიაჩნდა მოვლენებისათვის გასწრება, მოითხოვდა ფრთხილ მიდგომას, გაერთიანების განხორციელებას ქვემოდან საბჭოების შექმნის შემდეგ.

მაგრამ კავბიუროს ხელმძღვანელობა, აგრეთვე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრი განზრახ ამახინჯებდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ბირთვის პოზიციას, რომელიც არ ემთხვეოდა კავბიუროს აზრს ამიერკავკასიის ფედერაციისა და მისი შექმნის მეთოდების საკითხებში. „ნაციონალ-უკლონისტებს“ ბრალად სდებნენ, თითქოს ისინი ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების წინააღმდეგ.

არსებული დოკუმენტების, საარქივო მასალების ანალიზი სრულ უფლებას გვაძლევს გადაუჭრიბელად ვამტკიცოთ, რომ ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონისტების“ წინააღმდეგ წაყენებული ყველა ეს ბრალდება პრინციპულად არასწორი, ხელოვნურად გაზვიადებული იყო.

1921 წლის 30 ნოემბერს პოლიტბიუროომ განიხილა უთანხმოებანი კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის ფედერაციის საკითხზე. თავის გადაწყვეტილებაში პოლიტბიუროომ დაადასტურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციის სისწორე იმის შესახებ, რომ ნაადრევია ფედერაციია მისი პრაქტიკულად განხორციელების აზრით, და აუცილებელია ფედერაციის საკითხი დაისვას უფრო ფართოდ პარტიისა და მუშურ-გლეხური მასის განსახილველად.

პოლიტბიუროს ეს გადაწყვეტილება დეპეშით ეცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მეორე დღესვე, 1 დეკემბერს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, რომლის უმრავლესობა უკვე „ნაციონალ-უკლონისტებად“ მონათლეს, განიხილა რკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დეპეშა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის საკითხზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთსულოვნად მოწონებული დადგენილებაში ნათქვამი იყო: „მიღებულ იქნას ცნობად და განუხრელი ხელმძღვანელობისათვის“.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომას, რომელმაც მიიღო აღნიშნული დადგენილება ფედერაციის შესახებ, ესწრებოდა რვა კაცი, აქედან ხუთი: ოკუჯავა, მდივანი, ქავთარაძე, დუმბაძე, ცინცაძე — ეგრეთ წოდებული ნაციონალ-უკლონისტი იყო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. განუხრელად ასრულებდა მიღებულ დადგენილებას ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ, ხოლო კავბიურო უწინდებურად განაგრძობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრის უგულებელყოფას, ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხში უთანხმოება ამ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს შორის სულ უფრო დაძაბულ ხასიათს იღებდა.

• • •

უფრო მთავარი საკითხი, რომელის ირგვლივაც წარმოიშვა უთანხმოებანი, ერთი მხრივ, რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და, მეორე მხრივ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის, იყო საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოდ გაერთიანების პრინციპების საკითხი. საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების კონკრეტული გზების განსაზღვრისათვის შეიქმნა კომისია, რომელშიც შედიოდნენ ი. ბ. სტალინი, ვ. ვ. კუიბიშევი, გ. კ. ორჯონიკიძე, ა. თ. მიასნიკოვი, გ. ი. პეტროვსკი და სხვები.

კომისიამ მოიწონა პროექტი, რომელიც მზამზადა სტალინმა და რომელსაც უწოდა „ავტონომიზაციის გეგმა“, იგი ითვალისწინებდა რესპუბლიკების გაერთიანებას რსფს რესპუბლიკის ფარგლებში ავტონომიის საფუძველზე.

სტალინის თეზისები ავტონომიზაციის შესახებ ძირეულად ეწინააღმდეგებოდა პარტიის ეროვნული პოლიტიკის ყველა დიდმნიშვნელოვან ლენინურ პრინციპს.

მალე პროექტი „ავტონომიზაციის“ შესახებ განსახილველად დაეგზავნათ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 15 სექტემბერს განიხილა სტალინის თეზისები და დაადგინა:

„ამხ. სტალინის თეზისების საფუძველზე წამოყენებული დამოუკიდებელი რესპუბლიკების ავტონომიზაციის ფორმით გაერთიანება ნაადრევად ჩაითვალოს, სამეურნეო ძალისხმევის გაერთიანება და საერთო პოლიტიკა აუცილებლად მიგვაჩნია, მაგრამ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციას ხმა მისცა 31-მა კაცმა, სტალინის თეზისებს „ავტონომიზაციის“ შესახებ — 7 კაცმა, სახელდობრ ორჯონიკიძემ, ენუქიძემ, ღოღობერიძემ, კიროვმა, სოკოლნიკოვმა, კახიანმა, ელიავამ, თავი შეიკავა ცხაკაიამ.

ასე დაიწყო საქართველოს კომპარტიამ ბრძოლა „ავტონომიზაციის“ იდეების წინააღმდეგ.

მეორე დღეს, 16 სექტემბერს, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ავალებს — არ გააცნოს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს ზემოაღნიშნული დადგენილება. უფრო მეტიც, აწარმოოს მუშაობა მასებში სტალინის თეზისების სულისკვეთებით“.

სინამდვილეში კი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გარდა „ავტონომიზაციის“ პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა ბელორუსიის პარტიულმა ორგანიზაციამ. ასეთივე ტენდენცია შეიმჩნეოდა უკრაინაშიც.

ვ. ი. ლენინი, რომელიც უკვე გაეცნო „ავტონომიზაციის“ პროექტს, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება მისადმი, განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა იმის მიმართ, თუ როგორ წყვეტდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა **რესპუბლიკებს** შორის ურთიერთობის საკითხს.

1922 წლის 22 სექტემბერს ლენინი სწერს ბარათს სტალინს და სთხოვს აცნობოს, პრაქტიკულად რა კეთდება ამ სფეროში.

იმავე დღეს სტალინი ლენინს უგზავნის ბარათზე პასუხს, რომელშიც ახასიათებს ვითარებას საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულებაში.

წერილის ბოლოს სტალინი ლენინს სთავაზობს თავის გეგმას, რომელიც მას მიაჩნდა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ნორმალური ურთიერთობის მოგვარების ერთადერთ გზად:

„ჩემი გეგმაა:

1. ბუხარის, ხივის და შორეული აღმოსავლეთის (რომელიც ჯერ **არ გასაბჭოებულა**) საკითხი ჯერ-ჯერობით ღიად დარჩეს, ე. ი. ჯერ-ჯერობით არ მიეცეთ ავტონომიზაცია.

2. დანარჩენი ხუთი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მიმართ (უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) მიზანშეწონილად იქნას ცნობილი ავტონომიზაცია, რათა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობისათვის ცაკმა და ამ რესპუბლიკებმა თვითონ ნებაყოფლობით გამოთქვან სურვილი უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ მოსკოვთან ავტონომიის საწყისებზე (მე უკვე მაქეს აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიების ცეკას განცხადება იმის შესახებ, რომ სასურველია ავტონომიზაცია, და საქართველოს კომპარტიის ცეკას განცხადება, რომ სასურველია ფორმალური დამოუკიდებლობის შენარჩუნება“.

სტალინის პასუხი ლენინის ბარათზე, ისევე როგორც სტალინის თეზისების „ავტონომიზაციის“ შესახებ, გარეგნულად ამოცანად სახავდნენ საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანობასა და განუყოფლობას, ნამდვილად კი ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ სტალინის იდეას აშკარად დიდმპყრობელურ-შოვინისტური ხასიათი ჰქონდა. ლენინურ დებულებათა საპირისპიროდ „ავტონომიზაციის“ პროექტი ოდნავაც არ ითვალისწინებდა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების სურვილს — ყოფილიყვნენ „თავისი სახლის პატრონ-პატრონნი“. „ავტონომიზაციის“ თეზისები და სტალინის წერილი ასახავდნენ სწრაფვას — უწინდებურად დაკანონებულიყო რუსეთის გბატონებული მდგომარეობა ყველა მის ყოფილ განაპირა მხარეზე, რომლებმაც ოქტომბრის გამარჯვების შედეგად მოიპოვეს უფლება ყოფილიყვნენ „ერთად და თანასწორად“ ერთმანეთთან.

სტალინი არ დალოდებია ლენინის მითითებებს და 1922 წლის 23 სექტემბერს მოიწვია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო კომისიის სხდომა. ეს კომისია შეიქმნა იმისათვის, რომ მოემზადებინა რსფს რესპუბლიკასა და დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის საკითხი. კომისიის სხდომამ, რომელიც მიმდინარეობდა 23 და 24 სექტემბერს, საფუძვლად მიიღო „ავტონომიზაციის“ პროექტი. კომისიამ სპეციალური პუნქტით უარყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „ეროვნული ლიბერალიზმ“.

მდივანთან და საქართველოს კომპარტიის სხვა წევრებთან საუბრის შემდეგ ვ. ი. ლენინმა აუცილებლად მიიჩნია ახალი დამატებანი შეეტანა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პროექტში, რომელიც უნდა განეხილათ 6 ოქტომბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე. მაგრამ ვინაიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ლენინს არ შეეძლო დასწრებოდა პლენუმს, იგი ბარათს სწერს ლ. ბ. კამენევს. ეს ბარათი მოკლეა, სულ ცხრა სტრიქონისგან შედგება, მაგრამ მასში დაყენებულია დიდი, პრინციპული მნიშვნელობის საკითხი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის სახელმძღვანელო მნიშვნელობას.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა სსრ კავშირის შექმნის იდეა, პლენუმზე ლენინის პროექტს სრულიად ძალდაუტანებლად, უყოყმანოდ ხმა მისცა ბუდუ მდივანმაც, რომელსაც „ნაციონალ-უკლონიზმისა“ ლიდერს უწოდებდნენ.

ამრიგად, ლენინისა და ქართველი კომუნისტების პრინციპულმა ბრძოლამ „ავტონომიზაციის“ გეგმის წინააღმდეგ ისტორიული საქმე გააკეთა.

• • •

სსრ კავშირის შექმნით პარტიამ სერიოზული ნაბიჯი გადადგა წინ თავისი ეროვნული პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში.

ლენინის პროექტი, რომელიც დაამტკიცა რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, ერთსულოვნად მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მიიღო „განუხრელი ხელმძღვანელობისათვის“. ამასთან ერთად დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის მოგვარების ერთადერთ გზად:

„ჩემი გეგმაა:

1. ბუხარის, ხივის და შორეული აღმოსავლეთის (რომელიც ჯერ **არ გასაბჭოებულა**) საკითხი ჯერ-ჯერობით ღიად დარჩეს, ე. ი. ჯერ-ჯერობით არ მიეცეთ ავტონომიზაცია.

2. დანარჩენი ხუთი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მიმართ (უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) მიზანშეწონილად იქნას ცნობილი ავტონომიზაცია, რათა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობისათვის ცაკმა და ამ რესპუბლიკებმა თვითონ ნებაყოფლობით გამოთქვან სურვილი უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ მოსკოვთან ავტონომიის საწყისებზე (მე უკვე მაქეს აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიების ცეკას განცხადება იმის შესახებ, რომ სასურველია ავტონომიზაცია, და საქართველოს კომპარტიის ცეკას განცხადება, რომ სასურველია ფორმალური დამოუკიდებლობის შენარჩუნება“.

სტალინის პასუხი ლენინის ბარათზე, ისევე როგორც სტალინის თეზისების „ავტონომიზაციის“ შესახებ, გარეგნულად ამოცანად

ვფიქრობთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პოზიციაში არაფერია პარტიის ეროვნული პოლიტიკის საწინააღმდეგო. იმ პირობებში, მართლაც ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობა არ იყო აუცილებელი. მით უმეტეს, რომ ეს დამატებითი ბარიერი ერთგვარად ზღუდავდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების უფლებებს უკრაინასა და ბელორუსიასთან შედარებით.

ამგვარად, ამის მიუხედავად, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 17 ოქტომბერს უარყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სსრ კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლის შესახებ, ამასთან კვლავ ხაზი გაუსვა იმ აუცილებლობას, რომ იგი კავშირში შესულიყო ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით. ამას მოჰყვა ს. ორჯონიკიძის მთელი რიგი დაუშვებელი გამოსვლები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ძველი მუშაკების წინააღმდეგ. იგი ხშირად ლანძღავდა ცალკეულ ხელმძღვანელებს, ემუქრებოდა რეპრესიებით, რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ე. ი. პირველი საბჭოთა მთავრობის, თავმჯდომარეს ს. ქავთარაძეს „უმაქნის თავმჯდომარეს“ უწოდებდა, ლ. დუმბაძეს — „სულელსა და პროვოკატორს“, ბუდუ მდივანს — „სეკულუნტს, მედუქნეს“. ორჯონიკიძე საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს კ. ოკუჯავას დაემუქრა: „დგაპატიმრებ, დაგხვრეტ“.

ყოველივე ამის შედეგად ურთიერთობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობასა და ამიერკავკასის სამხარეო კომიტეტს შორის კიდევ უფრო გამწვავდა. 20 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ პირდაპირი მავთულით ვ. ი. ლენინისათვის გადასცა ბარათი, რომელშიც ნათქვამია იმ დევნის შესახებ, რასაც ისინი განიცდიდნენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და განაკუთრებით ორჯონიკიძის მხრივ.

„ჩვენ იმ მდგომარეობაში ვართ ჩაყენებული, — ნათქვამია წერილში, — როცა პასუხისმგებლობას ვეღარ ვიკისრებთ. ამიტომ სხვა გამოსავალი ვერ ვნახეთ და გადავწყვიტეთ ხვალ, 21-ში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განვაცხადოთ ეს“.

მართლაც, 21 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო პრეზიდიუმის წინადადება, რომ იგი იხსნიდა უფლებამოსილებას ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხაზთან მისი ხაზის შეუთანხმებლობის გამო.

ამრიგად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძირითადი ხელმძღვანელი ბირთვი იძულებული გახდა გადამდგარიყო 1922 წლის 22 ოქტომბერს. ეს, რა თქმა უნდა, უკიდურესი ნაბიჯი იყო, მაგრამ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი არ ცდილა მოეწესრიგებინა კონფლიქტი, პირიქით, დაუყოვნებლივ, იმავე დღეს, გადაწყვეტა მიეღო გადადგომა და რკ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს შესთავაზა ახალი შემადგენლობა, ხოლო 26 ოქტომბერს რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ დამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომის შემდეგ ბრძოლა მისი ყოფილი წევრების წინააღმდეგ კიდევ უფრო მწვავე და უხეშ ხასიათს იღებს.

მრავალი „მამხილებელი“ წერილი გაუგზავნეს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტემა, პირადად ორჯონიკიძემ და ორახელაშვილმა რკ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ლენინს. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ორჯონიკიძის წერილი ლენინის სახელზე, გაგზავნილი 27 ოქტომბერს, ორჯონიკიძის წერილში ნათქვამია, რომ მისი „ღრმა რწმენით, ამხანაგების ეს ჯგუფი (ლაპარაკია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგარ შემადგენლობაზე. — **ბ. ბ.**) სრულიად აშკარად მოქმედა ქართველი ნაციონალისტური ინტელიგენციის გავლენაში“, რომ „მათი წასვლა მხოლოდ გააჯანსაღებს პარტიას და დაგვეხმარება დავამყაროთ ნამდვილი კეთილშობილური ურთიერთობა სომხეთსა და აზერბაიჯანელებთან“. ორჯონიკიძის აზრით, „მათი პოლიტიკა, თუ იგი გაიმარჯვებს, მიგვიყვანს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების სრულ გაკოტრებამდე. ეროვნული მშვიდობის გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ. მდივან-მახარაძის პოლიტიკა კი მებრძოლი ქართული ნაციონალიზმის პოლიტიკაა“.

შემდეგ ორჯონიკიძე წერს, რომ „მათი გადადგომა არ არის საშიში. ეს ქარიშხალია ჭიქა წყალში. ნუ სწუხხართ, ამ ნიადაგზე არავითარი აჯანყება არ მოხდება. პარტიაში იქნება მცირე კინკლაობა, მაგრამ ეს საშიში არ არის, იხმაურებენ, იყეფებენ და გაჩუმდებიან. თბილისში ისინი დამარცხებული არიან. პროვინციაში ამხანაგები გავგზავნეთ. ყველაფერს გავაკეთებთ“. წერილის ბოლოს ორჯონიკიძე წინადადებას იძლევა: „მოგვეხდება მოვაშოროთ აქედან მახარაძე, ქავთარაძე, მდივანი,- ისინი ხეირს არ დაგვაყრიან“.

ეს წერილი ნათლად ასახავს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ამ პოზიციას არაფერია პარტიის ეროვნული პოლიტიკის საწინააღმდეგო. იმ პირობებში, მართლაც ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობა არ იყო აუცილებელი. მით უმეტეს, რომ ეს დამატებითი ბარიერი ერთგვარად ზღუდავდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების უფლებებს უკრაინასა და ბელორუსიასთან შედარებით.

1922 წლის 14 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა პასუხისმგებელ მუშაკთა გადადგომის საკითხი. დადგენილებაში ნათქვამია: „ეთხოვოს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს მოგვაცილოს ამ ანტიპარტიული მუშაობის ყველა ხელმძღვანელი, რომლებიც შლიან ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 14 ნოემბრის დადგენილების პასუხად მახარაძე, მდივანი, ქავთარაძე და სხვები რკ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს „უგზავნიან წერილს, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს კომპარტიის ახალი ცენტრალური კომიტეტი და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი პარტიული დისციპლინის ალმით რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით ულმობლად უსწორდებიან და ულმობლად თრგუნავენ როგორც პარტიის მთელ ორგანიზაციებს, ისე მის ცალკეულ წევრებს“. ისინი სთხოვდნენ რკ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს დაენიშნა კომისია საქმის გამოსაძიებლად.

24 ნოემბერს რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნო იღებს დადგენილებას, რომ დაინიშნოს კომისია ასეთი შემადგენლობით: ფ. ე. ძერჟინსკი, ლ. ს. სოსნოვსკი და ვ. ს. მიცკევიჩი.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ ძერჟინსკის მეთაურობით „კეთილსინდისიერად“ შეასრულა სტალინის მითითება და გაამართლა ორჯონიკიძის იმედები. კომისიამ შეძლო „დაესაბუთებინა“ ორჯონიკიძის მეთაურობით კავბიუროს და შემდეგ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გატარებული პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზის სისწორე და საქართველოს პარტორგანიზაციაში „ნაციონალ-უკლონიზმის“ არსებობა და მისი, როგორც „პარტიისათვის მეტად საშიშის, დაგმობის აუცილებლობა“.

* * *

ვ. ი. ლენინი, რომელიც განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის მუშაობისადმი, მაღე დარწმუნდა კომისიის არაობიექტურობაში. თავის ცნობილ წერილში „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ ავტონომიზაციის შესახებ“ ლენინი მოითხოვს ორჯონიკიძის სამგალითოდ დასჯას. იგი მოითხოვს აგრეთვე ქართველი კომუნისტების წინააღმდეგ ჭეშმარიტად ველიკორუსულ-ნაციონალისტურ კამპანიისათვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის სტალინის და ძერჟინსკისათვის დაკისრებას.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით იქ

ხაშმშიც დამკვიდრდნენ აჭარლები

იმრავლოს მათმა ჯილაგმა

აჭარის ერთ ლამაზ სოფელ ჭერში ცხოვრობდა მახარაძეების ოჯახი. იზრდებოდა და ხარობდა. მერე ის სამინელი დღეები, მარჩენალი მიწა რომ გაავდა და ჩამოზვავებულმა ასობით ოდაში გააცია კერა... დაცარიელდა სოფელი. ჯემალსა და თალიკოსაც აღარ ედგომებოდათ მორღვეულ მამაპაპეულ ეზო-ყურეში. კახეთს მიაშურეს მახარაძეებმა, საგარეჯოელთა მიპატიჟებით. ერთხანს საერთო საცხოვრებელს შეაფარეს მასპინძლებმა, სანამ მათთვის საკუთარი სახლი აშენებოდა სოფელ ხაშში. და აი, 22 თებერვალს ახალმოსახლეობა იზეიმეს.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსსა გიგუცა ჩაჩავამ გასაღები გადასცა ჯემალს, მანაც სახლში შეიპატიჟა სტუმრები: ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი მამა ელიზბარი, პარტიის თბილისის კიროვის რაიკომის მუშაკები, მშენებლები, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, ტელევიზიის და პრესის მუშაკები.

...დღეს ნათლობაცაა. ინათლება მარინე, მახარაძეების ოთხი შვილიდან ერთ-ერთი. დანარჩენი სამი — გულვარდი, გულიმზე, მანუჩარი და თვით თალიკო და ჯემალი იმ სტიქიური უბედურების შემდეგ სხალთაში ამობძანდებულმა უმწინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მონათლა მაშინ. მარინეს ნათლიები მშენებლები გიგუცა ჩაჩავა, გაიოზ ხამისაშვილი და პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი არიან. მამა ელიზბარმა ნათლობის რიტუალის შემდეგ აკურთხა მახარაძეების სახლ-კარი, ხატები და ლოცვანი უსახსოვრა ოჯახს.

— დიდი მადლობელ კაოთ ყველაფრისათვის, ამ იტყვეგბი აბეტეს ოჯახის უო ' ოსი თავის სიხარულ!

მას შემდეგ, რაც სოფელი ჭერი დაინგრა, თანადგომა და ნუგეში არ მოჰკლებია მის ოჯახს სრულიად საქართველოსაგან. მადლობელი არიან ყველანი: კიროვის რაიკომის მუშაკებისა, რომელნიც ერთგულ მეგობრებად ამოუდგნენ მხარში, უსინათლოთა საზოგადოების სპეციალიზებული სამმართველოს მუშაკებისა, რომელნიც მუხლჩაუხრელად შრომობდნენ მისი სახლის მშენებლობაზე, ახალი მეზობლებისა, რომელნიც თავს დასტრიალებენ, ანუგეშებენ, ეხმარებიან. მათი ნათმო კი იმისი გარანტიაა, რომ არ გაუჭირდებათ ახალ საცხოვრისთან შეგუება.

დედაქალაქის კიროვის რაიონის საწარმო-დაწესებულებები თავიანთ წილ აგურს დებენ აჭარის მთიანეთის დაზარალებული მოსახლეობისათვის ბინების მშენებლობაში: დღეისათვის 100.000 მანეთის ღირებულების სამუშაოები აქვთ შესრულებული — ჩაბარებულია 29 სახლი, 140 აიგება, 175 000 მანეთი გადარიცხული აქვს სახლების შესასყიდ ფონდში. თვით უსინათლოთა საზოგადოების სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, რომელიც უშუალოდ აწარმოებს მშენებლობას, ყველაფერს აკეთებს, რათა აჭარელთა სახლები დროზე ჩაბარდეს, თუმცა მეზობელ რესპუბლიკებში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციების გამო სამშენებლო მასალებით მომარაგება ძალიან ჭირს. თბილისში რამდენიმე ობიექტის მშენებლობა შეჩერდა კიდეც, რათა აჭარელთათვის ბინების მშენებლობას არაფერი მოაკლდეს.

უსინათლოთა საზოგადოების სპეციალიზებულმა სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ მაჯარაძეების ბინა, რომელიც 74 ათასი მანეთი დაჯდა, საკუთარი სახსრებით ააშენა, 5000 მანეთის ღირებულების ავეჯი და საოჯახო ინვენტარიც შეუძინა. ამ სამმართველოს ქველმოქმედება ამით როდი ამოიწურება: 9 აპრილისა და დემოგრაფიულ ფონდებში 5-5 ათასი მანეთი ჩარიცხეს, მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში — 10 000 მანეთი, სტიქიით დაზარალებულთა ფონდში კი — 6000 მანეთი. რა ფქმა უნდა, ეს სამმართველო ეკონომიკურად ძლიერი რომ არ იყოს, ასეთი მასშტაბებით ქველმოქმედებას ვერ შეძლებდა — 1989 წელი მილიონნახევარ მანეთის მოგებით დაამთავრეს.

ჯერი ახლა საგარეჯოელებზეა, მახარაძეების შრომითი მოწყობა მათ უნდა ითაონ. ჯემალს უკვე შესთავაზეს სამსახური რკინა-ბეტონის ქარხანაში, სადაც ამ რაიონში კარგა ხნის წინათ ჩამოსახლებული მისი ძმა მუშაობს.

— გვიხარია ჩვენი სოფელი რომ იზრდება, — ამბობს ხაშის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე რომეო დაუშვილი, — აჭარლებისათვის მრავალშვილიანობა ტრადიციულია. ჩვენი სკოლის კონტინგენტი დღეისათვის მხოლოდ ორი მესამედით არის დაკომპლექტებული, არადა ათი-თხუთმეტი წლის წინათ სავსე იყო ბავშვებით. ასე, რომ ხაშში კვლავ აღორძინდება.

— შემდეგი ოთხი ბიჭები გვეყოლება, — ხუმრობს ჯემალი და სტუმრებს სადღესასწაულო სუფრაზე ეპატიჟება.

ნანა ხოხობაშვილი.

თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: ნათლობა.

სპეციალური ფოტო.

სერგეის თელავის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა გაათავისუფლა თ. გ. ლეკაშვილი პარტიის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პარტიის რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობაზე პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს სამი კანდიდატურა. ფარული კენჭისყრის შედეგად საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს ბ. ლ. საჩიშვილი, რომელიც თელავის საბალნო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა.

ამხ. ზ. ლ. საჩიშვილი დაიბადა 1949 წელს, სკკპ წევრია 1972 წლიდან, ცოლიანია, ჰყავს ოთხი შვილი.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. გ. გურგენიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგე ნ. რ. საჯაია.

(საქინფორმი).

რეპლიკა

უმეცარის პოზიციიდან

გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული ს. ბარუზდინის სტატიის გამო

მე არ მიმაჩნია აუცილებლად პრესაში ჩვენს წინააღმდეგ, ან ჩვენს განსაკუთრებულად გამოთქმული ყველა გამოხდომა ჩვენი რეგალიებისა და პასუხის ღირსად ჩათვალო, მაგრამ ის, რაც 24 თებერვლის გაზეთ „პრავდაში“ წავიკითხე, ყოველგვარ მოსალოდნელ ინსინუაციებს აჭარბებს. ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვ“-ის მთავარი რედაქტორი სერგეი ბარუზდინი ასეთ რამეს კადრულობს: თურმე დღეს ქართველ თავადთა ზოგიერთი შთამომავალი თბილისის ქუჩებში გაჩუყვირის რუს ოკუპანტებზე, მოსკოვის იმპერიულ ქმედებაზე და, რაც მთავარია, თურმე ამავე ქუჩებში ამცირებენ აფხაზებს, ოსებს, გულგრილობას იჩენენ მესხეთელი თურქების ბედისადმი... შემდეგ სერგეი ბარუზდინი კითხულობს — რა არის ეს: გონების დაბნელება, თუ გულების მასობრივი გამოროტება, ისტორიული ხსოვნის დაკარგვა?.. მე კი მინდა ვკითხო სერგეი ბარუზდინს და გაზეთ „პრავდის“ რედაქციას: რა არის ეს, საბოლოოდ აღვირახსნილი ცილისწამება, საგანგებოდ გამიზნული ერთაშორის შუღლის გაღვივება, პოლიტიკური სიბეცე, თუ უგუნურება?! რა შუაშია აქ „თავადთა შთამომავლები?“ საიდან მოიტანა ეს ს. ბარუზდინმა. ვინ უთხრა მას, რომ თბილისის ქუჩებში რუსების საწინააღმდეგო - ლოზუნგებია გავრცელებული. ლოზუნგები მრავალნაირია. და რაც მთავარია, იმ ჟურნალის რედაქტორს, რომელიც ხალხთა მეგობრობის განმტკიცება ევალება, არ ეპატიება აშკარა ტუუილი — ხომ უტუუარი ფაქტია, რომ არავინ აუენებს შეურაცხყოფას აფხაზებსა და ოსებს, ეს ბინძური ჭორების აყოლაა. რაც შეეხება თურქებს, ეს მწვავე პრობლემა ჩვენი ტაკვილიცაა და არავინ კითხავს ს. ბარუზდინს (და, სხვათაშორის, არც გაზეთ „პრავდას“) ჩვენს ურთიერთობაში ჩარევას, მით უფრო უმეცრის პოზიციიდან.

ნოდარ ლომოური,
პროფესორი.

ძმოგის ფესვეგის განსამტკიცებლად

ქუთაისი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). აქ გაიმართა ქართულ-ებრაული ურთიერთობის კვლევის ასოციაციის ქუთაისის განყოფილების დამფუძნებელი კონფერენცია. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე, დოცენტი პეტრე ვაჭრიძე.

ახლახან შედგა ასოციაციის განყოფილების გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა 1990 წლის სამუშაო გეგმა. იგი არაერთ საინტერესო ღონისძიებას ითვალისწინებს. გამგეობამ უკვე გადადგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩამოყალიბდა სპეციალური განყოფილება, რომელიც იმუშავებს მხოლოდ ქართულ-ებრაული ურთიერთობის ამსახველი მასალების შეგროვებასა და მათი კვლევის საკითხებზე, მოაწყობს სპეციალურ კუთხეს, ქალაქის აღმასკომის წინაშე დაისვა საკითხი ბორის გაპონოვის სახელობის ქუჩის დასაწყისში გაიკრას „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ენაზე ამ შესანიშნავი მთარგმნელის პორტრეტული ბარელიეფი, საფიჩხის სასაფლაოზე სამაგალითოდ კეთილმოეწყოს 1905 წელს ოდესაში ებრაელთა დასაცავად გამოსული და შავრაზმელების მიერ მოკლული საბა კლდიაშვილის საფლავი. გიგეს თუ რა ამ საკითხის აღძვრის ამბავი, ქუთაისელმა ებრაელებმა დიდ სალოცავში ჩატარებულ სპეციალურ თათბირზე გადაწყვიტეს, რომ საბა კლდიაშვილის საფლავის კეთილმოწყობის ხარჯები თითონ გაიღონ შეწირულობის სახით.

ამ ცოტა ხნის წინათ საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ მემორიალური დაფა გაიკრას დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპული სამი ძმის — იაკობიშვილების საცხოვრებელ სახლზე.

გაიმართა ლიტერატურული საღამო „ებრაელობა ქართულ პოეზიაში“.

ПАТИВИ МИАГВЗ ᲛᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ

პარაკლისი მთავრობის სახლთან

23 თებერვალს თბილისში, მთავრობის სახლთან, სადაც 69 წლის წინათ — 1921 წლის 23 თებერვალს დაკრძალეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული 13 ქართველი პატრიოტი, გაიმართა პარაკლისი, რომელიც გადაიხადა ქაშვეთის ეკლესიის დეკანოზმა მამა ელიზბარმა, გალობდა საეკლესიო გუნდი.

შემდეგ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, ორატორებმა დაგმეს საბჭოთა რუსეთის მიერ დემოკრატიულ საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს დადებული საზავო ხელშეკრულების დარღვევა, რაც სხვა არა იყო რა, თუ არა ინტერვენცია, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფაქტობრივი ანექსია და ოკუპაცია.

მიტინგზე ლაპარაკი იყო აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე, ქართველი ერის წინაშე დღეისათვის მდგარ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე.

მოქალაქეთა ერთმა ნაწილმა მანიფესტაცია მოაწყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის შენობასთან.

სიმონ კილაძის ფოტო.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

1982 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ

ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ქალაქ უფაროოდში 1990 წლის 15 თებერვალს გამართულმა ... ბათა ტირაჟის ოფიციალური ცხრილი.

მოგება ხვდა სესხის ორმოცდაშვიდივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
200347	1—100	250	229828	024*)	1000	268549	006*)	1000
200434	1—100	100	230119	098*)	1000	269489	1—100	250
200854	1—100	100	230495	1—100	100	269904	013*)	1000
201398	022*)	500	230965	037*)	500	270342	1—100	100
201821	052*)	500	231086	086*)	1000	271057	097*)	500
201874	064*)	1000	231594	075*)	500	272259	1—100	100
202310	1—100	100	231816	023*)	500	273493	007*)	1000
202896	039*)	500	232481	044*)	500	273524	059*)	1000
203430	052*)	1000	232967	033*)	500	274343	1—100	250
203567	1—100	100	233325	029*)	500	274455	097*)	1000
203661	047*)	5000	233536	1—100	100	276119	088*)	1000
204801	010*)	500	234692	013*)	2500	276549	088*)	5000
204977	1—100	100	236212	1—100	100	276835	062*)	2500
205978	052*)	500	237090	030*)	1000	277139	1—100	250
207092	1—100	100	237492	1—100	100	277475	073*)	500
207895	1—100	100	237512	023*)	1000	278544	011*)	500
209095	063*)	1000	237550	1—100	250	279018	028*)	1000
209269	1—100	100	238954	084*)	2500	279218	1—100	100
209303	1—100	100	239673	086*)	2500	279589	017*)	1000
209307	1—100	100	240063	064*)	500	280355	100*)	5000
209743	068*)	2500	240409	1—100	250	281049	070*)	1000
210359	078*)	500	240952	034*)	500	282048	060*)	2500
210443	021*)	1000	241496	054*)	500	282525	096*)	2500
210882	1—100	500	241638	1—100	100	282841	072*)	500
210972	1—100	250	241654	063*)	1000	282928	080*)	500
211301	010*)	5000	241886	1—100	100	283819	035*)	1000
212277	012*)	500	243393	070*)	500	284277	066*)	500
212513	015*)	1000	243546	1—100	100	284495	1—100	250
212644	1—100	100	243902	097*)	500	286768	030*)	500
212805	048*)	1000	245184	079*)	1000	287553	009*)	500
213581	003*)	500	245471	022*)	1000	287613	1—100	250
213758	1—100	100	245820	020*)	500	287751	1—100	100
214185	1—100	100	245830	1—100	100	287853	047*)	1000
214605	007*)	2500	245954	035*)	2500	288465	028*)	1000
214970	1—100	250	247426	092*)	500	288529	059*)	1000
215098	1—100	250	247485	047*)	500	289121	1—100	100
215407	060*)	500	247497	1—100	250	289228	1—100	500
216357	088*)	1000	247718	079*)	1000	289294	085*)	1000
216447	030*)	1000	248403	003*)	2500	289355	1—100	250
216519	007*)	2500	248878	040*)	2500	289664	021*)	2500
217089	064*)	1000	249245	041*)	500	289836	1—100	250
217244	025*)	2500	249263	028*)	500	289990	1—100	100
217472	093*)	1000	249274	002*)	1000	290246	027*)	500
218226	056*)	1000	249310	1—100	250	290321	1—100	100
219646	078*)	1000	249547	1—100	250	290384	081*)	500
219688	022*)	1000	249673	1—100	100	290952	074*)	500
219925	021*)	1000	250637	065*)	1000	291274	050*)	2500
220473	1—100	250	251998	062*)	1000	291621	1—100	100
220538	1—100	100	252100	1—100	100	291725	039*)	500
221525	004*)	1000	252648	075*)	2500	291731	1—100	250
221606	028*)	5000	253525	067*)	500	292017	056*)	2500
221667	086*)	10000	253801	015*)	500	292121	1—100	100
222134	043*)	500	256103	045*)	500	292405	088*)	1000
222195	1—100	100	256124	1—100	250	293023	061*)	500
224611	1—100	100	256530	1—100	250	293225	037*)	500
225293	005*)	500	257098	080*)	1000	295396	017*)	500
225724	092*)	1000	257344	025*)	2500	295412	1—100	100
226320	057*)	2500	258283	1—100	250	295706	029*)	1000
226433	053*)	1000	260250	1—100	100	296061	084*)	1000
226531	031*)	500	261775	064*)	1000	296353	014*)	500
226782	014*)	500	262177	068*)	500	296433	1—100	100
227645	1—100	250	263121	1—100	100	297032	1—100	100
228182	1—100	100	263333	077*)	1000	297690	056*)	1000
228528	049*)	1000	263482	1—100	250	298339	078*)	1000
228533	1—100	250	264558	1—100	100	298726	090*)	2500
229302	051*)	1000	265022	063*)	500	299592	020*)	1000
229643	1—100	250	267153	046*)	1000			

*** ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 99 ნომერს ხვდ. 100 მანეთი მოგება თითოეულს.**

ცხრილში ნაჩვენებია ორმოცდაათმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ასმანეთიან ობლიგაციებზე 100, 250, 500 მანეთის თანახმარი ობლიგაციების ნომრებით მოგების შემთხვევაში მოგებული სერიის ყველა ნომერზე შესაბამისად გაიცემა 200, 500 და 1000 მანეთი. ასმანეთიანი ობლიგაციის ერთ-ერთ ნომერზე 500, 1000, 2500, 5.000 და 10.000 მანეთის მოგების შემთხვევაში მეორე ნომერზე მოგება იქნება 100 მანეთი და ობლიგაციაზე შესაბამისად გაიცემა 600, 1100, 2600, 5100 და 10.100 მანეთი. 25-მანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა ორმოცდაათმანეთიან ობლიგაციაზე მოგების ნახევარი. მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც სსრ კავშირის შემნახველი ბანკის დაწესებულებანი მოგებას გასცემენ დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — იმიერკავკასიის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზ. ა. სუხანი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ე. ი. დიმოვინა.

სპორტი

● **ᲥᲣᲓᲝ.** 27 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება ძიუდოისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უძლიერესი ფალავნები ისპარეზებენ. როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა გვითხრა, ტატამზე გამოვა ჩვენი რესპუბლიკის 40-მდე ძიუდოისტი. შეჯიბრება 1 მარტს დამთავრდება. ტურნირის პირველ დღეს მედლებისათვის იბრძოლენენ 86,95 და მძიმე წონითი კატეგორიის მოჭიდაველები, შემდეგ 65 და 78 კგ წონის სპორტსმენები. 1 მარტს კი გამოვლინდებიან უმჩატეს და აბსოლუტურ კატეგორიებში გამარჯვებულები. 2 მარტს საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი ქართულ ჭიდაობაშიც მოსინჯავენ ძალებს. ეს შეჯიბრება ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართება.

● **ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ.** ლოს-ანჟელესის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვეს კოლუმბიელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ფინალში აბგარიშით 1:0 (0:0) დაამარცხეს მექსიკის ნაკრები. საბჭოთა გუნდმა ანგარიშით 2:1 (0:1) მოუგო კოსტა-რიკის ნაკრებს და შესამე ადგილი დაიკავა.

● **ᲕᲐᲓᲠᲐᲯᲘ.** ლინარესის (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ბორის გულკომ (აშშ) დაამარცხა ლუბომირ ლუბოევიჩი (იუგოსლავია), ეალური სალოვისა და ნაიჯელ შორტის (დიდი ბრიტანეთი) პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა. ტურნირის ლიდერობენ გარი კასპაროვი და ბორის გელფანდი — 3,5—3,5 ქულა. 3 ქულა მოაგროვა არტურ იუსუპოვმა, 2,5 — ვასილ ივანჩუკმა.

● **ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲕᲘᲓᲔᲝᲜᲐ.** ჩერკასში გაიმართა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობა იუნიორთა შორის. საქართველოს სპორტსაზოგადოება „მართვეს“ მოჭიდავეებმა ამ შეჯიბრებაში 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს medal მიიღეს. ჩემპიონები გახდნენ გ. სისაური (57 კგ), დ. ხაბელაშვილი (74 კგ) და რ. კუპატაძე (100 კგ).

● **ᲪᲣᲠᲗᲐ.** საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში გუნდური გამარჯვება მოიპოვა თბილისის პირველმა ნაკრებმა, მეორე ადგილზე გავიდა დედაქალაქის მეორე გუნდი, მესამე იყო რუსთავის ნაკრები. ზეგ იწყება სსრ კავშირის ზამთრის ჩემპიონატი, სადაც 6 თბილისელი მოცურავე გამოვა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ 1990 წლის დასვენების დღე — კვირა, 11 მარტი გადმოტანილ იქნეს პარასკევს — 9 მარტს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

26 თებერვალი

პირველი პროგრამა. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — რუსული ენა. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საიდუმლო“. 17.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მთა მთას ესაუბრება“. 17.30 — საქართველოს ისტორია. 18.00 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი პრესკონფერენცია“. 19.00 — ხალხური შემოქმედება. „რაღაც უნდა გადარჩეს“. 19.25 — საერთაშორისო დღიური. 20.00 — მოამბე. 20.35 — „გახსენება“. სერგი დურმიშიძე. 21.10 —ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი. 22.00 — „ვრემია“. 22.30 — „გიორგი ტოვსტონოგოვი და საქართველო“. 23.30 — კონცერტი.

მეორე პროგრამა. 16.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ტადას ბლინდა“. I და II სერია. 18.25 მხატვრული ფილმი „ბოლოსიტყვაობა“. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო დადგმა „ექიმი სოლტი მიემგზავრება“.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ

27 თებერვალი

პირველი პროგრამა. 12.30 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ქართული ენის ტელეკურსი. 14.20 —საერთაშორისო დღიური. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.30 — დოკუმენტური ფილმი „რეისი მეხსიერებაში“. 17.20 — განცხადებები. 17.25 — მოსწავლეთათვის. „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“ (გამეორება). 18.15 — „კომპიუტერები და თარგმანი“. 18.45— სტუდენტური პროგრამა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „გახსენება“ გ. ბედინეიშვილი. 21.20— გარდაქმნის წახნაგები. „თაიგული“. 22.00 — „ვრემია“. 22.30 — საესტრადო პანორამა. 23.30— თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.

მეორე პროგრამა. 16.05 — ქართული მხატვრული ფილმი „ახალგაზრდობა იმარჯვებს“. 17.10 — მოსწავლეთათვის. გეოგრაფია. 17.55 — სატელევიზიო დადგმა „სამი წელი“. 19.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცეკვავს ლატავრა ფოჩიანი“. 20.00 — მოამბე. 20.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „ლუტრა“.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

28 თებერვალი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მასწავლებლის საათი. ბუნების დაცვა. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „შემოდგომის გზა დედისაკენ“. 17.10 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.40 — ხალხური შემოქმედება. „თვითნასწავლი მხატვარი ნელი მესხაძე“. 17.55 — „თვალსაწიერი“. სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელებისათვის. 18.40 — ხელოვნების გაკვეთილი (გადაცემა მეორე). 19.10 — გარდაქმნის წახნაგები. „ორი საწარმო, ორი შედეგი“. 20.00 — მოამბე. 20.35— სახალხო კონტროლის ეკრანი. 21.05— „განვიხილავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტს“. 22.00 — „ვრემია“. 22.30 — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომა. 22.50 — ქართული ბალეტის ოსტატები. ვ. ჭაბუკიანის დაბადების 80 წლისთავის გამო. 23.50 — თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.

მეორე პროგრამა. 16.05 — ქართული სატელევიზიო ფილმ-ბალეტი „მწირი“. 16.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ძველი მეგობრები“. I და II სერია. 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.15 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „მეოომარი ქალი“.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

1 მარტი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მასწავლებლის საათი. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 16.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვერცხლის ქორწილი“. 17.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მედიკოსთა სამჭედლო“. (პირველი ჩვენება). 17.10 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.40 უკრავს ხალხური საკრავების ანსამბლი „ურმული“ 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.55 — „ჩვენ და ბუნება“. 19.40 — განცხადებები. 19.45 — ძილისპირული 20.00 — მოამბე. 20.40 — კინოჟურნალი. 20.50 — „პრემიერა ზამთარში“. ონის სახალხო თეატრი. 21.10 — „წერილის დღე“. 21.20 — თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. 22.00 — „ვრემია“. 22.30 — „ვიდეო, ვიდეო“...

მეორე პროგრამა. 16.05 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების ეკრანი. 17.05 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები „პატარა შავარდენი“ და „გამარჯობა, რალფ“. 18.00 — სატელევიზიო დადგმა „სათნო მატყუარა“. I და II ნაწილი. 20.00 — მოამბე. 20.40 — მხატვრული ფილმი „საუკუნის მოტაცება“.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

2 მარტი

პირველი პროგრამა. 12.30 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი განათლება. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თავისუფალი ჯოგი“ (პირველი ჩვენება). 16.50 — უფროსკლასელებისათვის — საქართველოს ისტორია. 17.20 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 18.05 — ქართული ლიტერატურის ისტორია. 18.30 — მოამბე. 19.00 — მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო ფონდის საქველმოქმედო კონცერტი (ტრანსლაცია თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრიდან). 22.00 — „ვრემია“. 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ზოგი ჭირი მარგებელია“. 23.50 — სპორტული პროგრამა.

მეორე პროგრამა. 16.05 — მოკლემეტრაჟიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ლურჯი ფრინველი“. 16.30 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების ეკრანი. 17.20 — მოკლემეტრაჟიანი მ